# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 5 ღვინობისთვე 1919 წ. № 215 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



## ქართული ლატარია.

საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება მჰიდროთ გაიდგამს ფესვებს როდესაც იგი კულტურულად განვითარდება.

——

კულტურული განვითარების საწინდარი კი იქნება ქართული უნივერსიტეტის და თეატრის აშენება.

——

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები. 196 1—1

## დიტრიხოვსკის ამხანაგობის ლუდის ქარხანა

### გ. ვეტცელი ძმ. და კ-ნია (ყოფილი დიტრიხისა)

ხავერდის ფერი **ლუდი „ექსპორტი“**

2565 4—4 დაკვეთა ტელეფონით: 7—80.

## მოითხოვეთ და იხმარეთ შემის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული** ნახშირი და **დიდ-ძალი კირი, საუკეთესო** ხარისხის და ხელ მისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ № 11—45.

1002 15—11 **ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო.**


## საზოგადო—კრება

თბილისის სახლის პატრონთა კავშირის წევრთა კრება გაიმართება 5 ოქტომბერს 1919 წელს 11 საათზედ დილით საზაფხულო შენობაში „ამირანში“—სახლი მელიქ-აზარიანცისა. შესავალი ვერის დაღმართიდგან. უამინდობისას სხდომა შესდგება დახურულ შენობაში იმავე სახლში.

სხდომის წესრიგი:

1) წაკითხვა და დამტკიცება ოქმისა მარიამობისთვის 31-ის საერთო სხდომის და მოხსენება გამგეობისა კავშირის საქმეებზე.

2) გამგეობის მოხსენება შესახებ ამიერკავკასიის კავშირის სახლის პატრონთა წევრთა ყრილობის მოწვევის აუცილებლობაზე,

3) გამგეობის მოხსენება მეეზოვეების შესახებ სახლის პატრონთა სარაიონო წარმომადგენლების არჩევასთან ერთად დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრთა.

4) მოხსენება—ნ. ე. მზარეულოვისა ოთახების რეკვიზიციის საკითხის შესახებ სახლის პატრონთა ადმინისტრატიულ პასუხისმგებლობასთან ერთად.

5) მოხსენება ფინანსიური კომისიის თავმჯდომარის ი. ს. ტყეშელაშვილის კავშირთან ურთიერთობის კასის დაარსების აუცილებლობაზე.

6) გამგეობის მოხსენება სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებზე.

7) მიმდინარე საკითხები.

შენიშვნა—ხმების მიცემა შეუძლიანთ მხოლოდ 1919 წ. საწევრო გადასახადის გადამხდელ პირებს.

## განცხადება

**დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა საყურადღებოთ**

თანახმათ ეროვნ.-დემოკრ. პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაციების დადგენილებისა, ახლო მომავალში, ქ. ქუთაისში გაიხსნება ახალგაზრდათა მეორე შეერთებული თავისუფალი

## ყრილობა,

ყრილობაზე დასწრება მანდატებით შეიძლება, რომელნიც მიიღებთ ქუთაისლები „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, და პროვინციელები—პროვინციაში.

(დრო და ადგილი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დასავლეთ საქ. სტუდ. ორგან. თავმჯდ: **ბიკ. აბესაძე.**

ქუთაისის მოწაფეთა ორგ. თავმჯდომარე **აკაკი ცქიტიშვილი.** (5—1)

## განცხადება

### ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო

მოუწოდებს იმ პირთ, რომლებსაც სურვილი აქვთ აიღონ თავის თავზე 3000 ბოძების დამზადება ფიჭვის ან მუხის, სიგრძით 14 არშინი, სისქით წვეროში 4—5 ვერშოკი. აცნობოს მას თავისი პირობები არა უგვიანეს 7 ოქტომბრისა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში რუსთაველის პროსპ. № 43.

199 1—1

## ნ. ი. პაატაშვილის

### ქალთა 5 კლასიანი პროფესიულ სკოლაში.

ნ. ი. პაატაშვილისა აცხადებს სწავლა დაიწყო 22 სექტემბერს. მოწაფეების მიღება გრძელდება. მიღება შეიძლება—9—2 საათამდის.

სწავლა ხელსაქმისა და ჭრა-კერვისა ჩვეულებრივია. საგნების სწავლა დაახლოვებით 4 კლასამდე ქართულ და რუსულ ენაზედ.

ამასთანვე გახსნილია კურსი ფეხსაცმელების კერვის.

ამავე სასწავლებელში მიიღება ყოველგვარი დაკვეთილი საქმეები კაბები, კოსტუმები, თეთრეული და ყოველგვარი ნაქარგი ხელ საქმეები „მერეშკა“ მანქანაზედ ხელ მისაწვდენ ფასებში.

მისამართი: ჩერქეზიშვილის და ნიკოლოზის კუთხე № 2—11.

(2—2590—1).

## კოჯორის

### ქალაქის თვითმართველობა

ამით აუწყებს ქ. კოჯრის მოქალაქეთ, იმ განცხადების დამატებად რომელიც გამოიცა ქ. კოჯორში შესახებ ქალაქის გამგეობის ოქტომბრის 5 არჩევნებისა —ახალ ვადით—საარჩევნო სიების გამოქვეყნებით, რომ ყველა განურჩევლად სქესის, 20 წლის მოქალაქე მობრძანდეს დანიშნულ დროს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 2584 1—1


17 ღვინობისთვეს თბილისში

გამოვა დიდი საორშაბათო

## „გაზეთი“

საუკეთესო ლიტერატურული ძალები.

ფართო პოლიტიკური და სხვადასხვა

ინფორმაცია.

## განცხადება.

### ტყავის სამზადებელ ექსტრაქტებს აწვდის

მსურველთ ქიმიური ქარხანა **ატომი** თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 204, ტელეფონი 1—52.

2591 2—1

ექიმ ს. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

**ლაბორატორია**

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს** (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს რძეს, ღორწს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ ამზადებს ვაქცინას.**

26 მაისის (ოლღას) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.

15—26988—5


## რესპუბლიკის ციხეები

გუშინდელ გაზეთებში მოთავსებულია ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა:

„ამ ჟამად იუსტიციის სამინისტროში საჩქარო მუშაობა სწარმოებს ციხეთა ინსპექციის საქმეების შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადასაცემად. ციხეებში თანამდებობებზედ ახალი პირების დანიშვნას და ციხეთა შესახებ განკარგულების გაცემას უკვე შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს“

იმავე გაზეთებში უკვე მოთავსებულია სამინისტროს განკარგულებანი ციხეების ძველი უფროსების გადაყენებისა და მათი ახალი პირებით შეცვლის შესახებ.

ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი ჩვენს რესპუბლიკაში დამყარებული წესწყობილებისათვის, რომ შეუძლებელია ქართული საზოგადოების ყურადღება არ მივაქციოთ ამ ფაქტზე. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოებრივი წყობილება დამყარებულია ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზედ და კანონი და სამართალი ურყევი საფუძველია სამთავრობო ორგანოების მოქმედებისა, ციხის ადმინისტრაცია მხოლოდ სასამართლო უწყებას ექვემდებარება.

ძველ რუსეთშიაც, სადაც დამკვიდრებული იყო სასტიკი პოლიტიკური რეჟიმი ამ საკითხის შესახებ, ბრძოლამ ხანგრძლივი ისტორია განიცადა.

რუსი იურისტების ლიბერალური ნაწილი დიდხანს იბრძოდა, რომ ციხეები როგორმე გამოეგლიჯათ შინაგან საქმეთა სამინისტროს კლანჭებიდან და სასამართლო უწყებისათვის გადაეცათ.

ვის არ ახსოვს მოსკოვის იურიდიული საზოგადოების დადგენილებანი და რუს-ვექილების ბრძოლა ამ საკითხის გარშემო, რომელიც თავის დროზედ დიდ სამოძახილს იწვევდა ფართო საზოგადოებაში.

და ეს ბრძოლა იმდენად სასტიკი იყო და იმდენად სამართლიანი, რომ თვითმპყრობელობის მთავრობამაც კი ველარ შესძლო გვერდი აეხვია საზოგადოებრივ აზრისათვის და როგორც იქნა ციხეები ჩამოერთვა შინაგან საქმეთა სამინისტროს

ბრძოლა ამ საკითხის გარშემო რევოლუციის წინა დრომდეც კი მოაღწია, რადგან განაპირა ქვეყნებში კიდევ რჩებოდა ძალაში ძველი წესი და ისიც არა ოფიციალურად.

ეს იყო ძველი პოლიციური რეჟიმის დროს.

რა ხდება დღეს, დემოკრატიულ საქართველოში?

სოციალისტური მთავრობა, რომელსაც პირზედ საყოველწუთო ლაპარაკისთვის აკერია დემოკრატიული ლოზუნგები და ყოველივე უცნაურობას ამართლებს დემოკრატიზმის და სოციალიზმის არგუმენტებით, სჩადის იმას, რაც ველარ გაბედა პოლიტიკური წყობილების მთავრობამ.

რითი ხელმძღვანელობდა იგი ასეთი ნაბიჯის გადადგმის დროს?

ვერავითარი საბუთებით დაწინაურებულ ქვეყნების სახელმწიფოებრივ უფლებიდან იგი ვერ იხელმძღვანელებს, რადგან ეს ფაქტი უსათუოოდ მიღებული იქნას ყველგან, როგორც დესპოტიური წყობილების მაგალითი.

ამბობენ, რომ მთავრობამ, ეს აქტი მოახდინა მისთვის, რომ ციხეები უკეთ დაცული იყოს! და ნუ თუ ეს არის არგუმენტი? მაშინ რას აკეთებს იუსტიციის სამინისტრო? თუ ეს დაწესებულება ვერ სდგას თავის მოვალეობის იმ სიმაღლეზედ, რომ ისეთი დაწესებულება შეინახოს, რომლის დაცვა მის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს.

და თუ ეს არგუმენტი, მთავრობამ მოიწონა, საკვირველია, როგორ რჩება კიდევ თავის ადგილზედ იუსტიციის მინისტრი!

მაგრამ ერთი მინისტრის მიერ მეორეს უფლებათა და მოვალეობათა მითვისება და მითვისებულ უფლებათა დაკანონება იმდენად ხშირი მოვლენა გახდა, რომ თავმოყვარეობის საკითხი როგორც სჩანს, ამ წრეში დიდ ყურადღებას აღარ იპყრობს.

მაგრამ ეს ფაქტი, იმდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მას გვერდი აუქციოთ, ჩვენ მივაქცევთ ამ ფაქტის შესახებ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ყურადღებას, რომელმაც უსათუოოდ უნდა აღძრას ეს საკითხი დამფუძნებელ კრებაში, რომლის დასტურის გარეშე, გადასდგა მთავრობამ ეს ყოვლად უკანონო ნაბიჯი.

## მომარაგების მმართველობა

მომარაგების მმართველობა მეტად დღე ნაკლული გამოდგა. როგორც ამ უწყების მეთაურები ამბობენ მას მუშაობა ჯერ არც კი დაუწყია და ეხლავე გაუქმებას კი უპირებენ. ეს გასაკვირველი როდია. გონიერება მოითხოვს, რომ როცა რამეს აშენებ—სახლია ეს თუ სხვა რამ საქმე, მით უმეტეს დიდი სახელმწიფო ორგანიზაცია, ჯერ უნდა საქმე გამოიკვლიო და გაიგო—რის აშენება გინდა, რა საფუძველზე, რა ნიადაგზე და როგორი მასალით.

ჩვენს კურთხეულს რესპუბლიკაში არც ერთი დაწესებულება არ იქმნება ამ წესით. დაარსებენ რაიმე უწყებას. არავინ იცის რისთვის და ვისთვის. ეს უცნაური წესი სახელმწიფოს შენებისა განსაკუთრებით, ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ საქმეების მოგვარებას ამჩნევს მძიმე დაღს.

იყო სასურსათო საბჭოები. არ გამოდგა. ეს თავიდან აშკარა იყო, მაგრამ ჩვენი პოლიტიკის მეთაურებმა ბოლომდე არ დაიჯერეს. ბოლოს შეუძლებელი იყო მათი დატოვება. გააუქმეს, მაგრამ ისე, რომ არსებითად ყოველივე ძველებური დარჩა. შემოიღეს სასურსათო დიქტატურა. არ ივარგა, დაარსეს ახალი საბჭო. პარლამენტში ამას მთავრობის თავმჯდომარე ასე ასაბუთებდა—გვინდა ვცადოთ, იქნება გამოდგეს. თუ არ ივარგებს, შემდეგ გამოვცვლითო ასეთი წესით სწარმოებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკა, უნდა გამოვცადოთ, იქნებ გამოდგეს...

ასე დაარსდა მომარაგების სამართველოც. არავითარი გეგმა, არავითარი გათვალისწინება იმ დიდი საქმეებისა, რომელიც ამ მართველობას უნდა ეწარმოებინა. სხვადასხვა დაწესებულებებიდან გადაზიდეს საქმეები, სხვადასხვა უწყებიდან მოუყარეს თავი მოსამსახურეებს, ან შემთხვევით პირებს. ბევრი დიდ იმედებსაც ამყარებდა ამ უწყებაზე

დღეს უკვე მის გაუქმებაზე ლაპარაკობენ. არა ოფიციალურად კიდეც გადაუწყვეტიათ ფრაქციებში და სხვა მაღალ სფეროებში. ეხლა ყველა ამ საქმეებს ისევ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში უპირებენ თურმე გადაზიდვას. იქ ახალი დეპარტამენტი უნდა დაარსდეს მომარაგების საქმისა. გამოვა რამე აქედან თუ არა? რასაკვირველია, არაფერი არ გამოვა, თუ უფრო სერიოზულად არ დაისვა საკითხი შესახებ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა—საშინაო და საგარეო ვაჭრობის წარმოებისა. არის თუ არა განზრახული საკითხის ასე ფართედ დაყენება, ჩვენ არ ვიცით. ძველი ჩვეულებით თუ ვიხელმძღვანელებთ, არ იქნება. მარტო ქაღალდების ზიდვას ერთი შენობიდან მეორეში, დროა გავიგოთ, არაფერი მნიშვნელობა არ აქვს.

## დამფუძნებელი კრება

1-ლი სესია. სხდომა 49.

**ოქტომბრის 3 სხდომა.**

თავმჯდომარეობს დამფუძნ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

მდივნობს **კ. ჯაფარიძე.**

საბოლოო ტექსტი სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა და სხვა გასამრჯელოს მიცემის გამო დაწესებულ-ერთდროულ გადასახადის გაუქმების დეკრეტისა

მომხსენებელი **გრ. ნათაძე** მოახსენებს კრებას ხსენებულ დეკრეტის საბოლოო ტექსტს. უცვლელად ღებულობს.

პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა საბაჟოებში ზედმეტი მუშაობისათვის გასამრჯელოს დაწესების შესახებ.

მომხსენებელი **ივ. ჭავჭავაძე** მოახსენებს კრებას კანონპროექტის შინაარსს და იმ მიზეზებს, რომლითაც გამოწვეულია წარმოდგენილი კანონპროექტი. კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლისას.

კანონპროექტის ზოგად განხილვის შემდეგ სხდომა 20 წუთით სწყდება, რადგან დღიურ წესრიგში დასმულია გაგრძელება მსჯელობისა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისადმი შეკითხვის შესახებ ნიკოლოზ ჩარკვიანის უსაფუძვლოდ დაპატიმრების გამო, და დამფუძნებელ კრებამ უნდა მოისმინოს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება, რომელიც ჯერ არ მობრძანებულა.

**გაგრძელება მსჯელობისა-ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვის შესახებ. ნიკოლოზ ჩარკვიანის უსაფუძვლოდ დაპატიმრების გამო.**

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

**შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი,** მთავრობის სახელით უპასუხებს ინტერპელიანტებს, რომ მართალია თბილისის საოლქო სასამართლოს უფროსმა ვერ შესძლო შესაფერი საბუთების წარმოდგენა, რომელნიც ცხად ჰყოფდნენ ჩარკვიანის დანაშაულს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ჩარკვიანის მონაწილეობა ბონიანის მკვლელობაში იყო არა პირდაპირი, ამიტომ ჩვენ შეუძლებლად დავინახეთ მისი განთავისუფლება მით უმეტეს, რომ იგი ჯერ ისევ 905 ცნობილი არის როგორც რეცილივისტი. დასასრულ მინისტრი აცხადებს, რომ საქმე არის არა მარტო სისხლის მნიშვნელობის, არამედ მას პოლიტიკური ხასიათიც აქვს. მოჰკლეს კომისარი, და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ მკვლელობასთან, თუ პოლიტიკურ პარტიას არავითარი კავშირი არა აქვს, იგი განსაკუთრებულ ჯგუფის ზეგავლენით არის ჩადენილი ხოლო ამ ჯგუფს კარგად იცნობს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

**გ. გვაზავა** (ერ. დემ.) ბატონ მინისტრის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ არის. შეკითხვა ეხება კონკრეტიულ შემთხვევას.

აქ ლაპარაკი არის იმ თვითნებობაზე რომ ის მსხვერპლი გახდა ერთი ოჯახი. მე ჩარკვიანი არც ძნახავს, ვერც ვიცნობ, მაგრამ მე მოგახსენებთ. მაგრამ მე მოგახსენებთ. რომ იმ თვითნებობის გამო რომელიც ჩადენილ იქნა მთლად აოსწყდა. ოჯახი უპატრონობის გამო. ეს ფაქტი დიდად შემაძრწუნებელია ყველა პატიოსან ადამიანისათვის.

მერე რა სთქვა ბატონმა მინისტრმა თავის განცხადებაში განაცხადა, თუ რა მიზეზია რომ ეს კაცი ციხეში იხრჩვება? მან განაცხადა, რომ სადღაც ვიღაცას დანაშაული ჩაუდენია ეს ყოფილა 10 თუ 12 წლის წინად და ჩარკვიანს ბრალდება არა პირდაპირი მონაწილეობა ამ საქმეშიო.

ვინ დაიჭირა ეს კაცი? ჰქონდათ სათანადო ბრძანება მინისტრს, თუ არა? არა. თვით მინისტრმა მხოლოდ შემდეგ გაიგო, ბ. ჩარკვიანი შეპყრობილ იქნა გვარდიის შტაბის მიერ.

თვით ეს ფაქტი ხომ მიუღებელია, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია ის განცხადება რომელიც მოვისმინეთ მინისტრისაგან მან განაცხადა, რომ მართალია საოლქო სასამართლომ ვერ ნახა შესაფერისი საბუთები ჩარკვიანის დანაშაულობის, მაგრამ მისი რწმენით ბ. ჩარკვიანმა მიიღო არა პირდაპირი მონაწილეობა ბ. ონინის მკვლელობაში და ეს გვაძლევს სა-

# უკანასკნელი ცნობები

საბოლოო ხმის მიცემა საზავო ხელშეკრულების დასადასტურებლად ოქტომბრის 22 უნდა მოხდეს.

ბოლშევიკურ ცნობებით, ვილსონი საზავო ხელშეკრულებას უკან იბრუნებს.

მოკავშირეებმა უნგრეთის მინისტრ პრეზიდენტს კოალიციურ მთავრობის შედგენა მოსთხოვეს.

უმაღლესი საბჭო დენიკინს 90 ათას რუსულ თოფს და ტყვია-წამალს უგზავნის.

პრეზიდენტ ებერტს და სამხედრო მინისტრს ნოსკეს უშედეგოდ თავს დაესხნენ.

ბოლშევიკურ ცნობით, ინგლისში რკინის გზელთა გაფიცვა ძლიერდება.

იტალიის პრესა პალატის დათხოვნას მოითხოვს.

დანტე ალიგერის საზოგადოებამ ფიუმეს ეროვნულ საბჭოს 50 ათასი ლირა გადასცა.

---

ბუთს რომ იგი დაპატიმრებული გვყვანდეს.

უნდა მოგახსენოთ რომ აქ კანონიერება უარყოფილია. აქ სუბიექტივიზმს აქვს ალაგი. აქ თვითნებობაა.

მე ვეკითხები პარლამენტს: აძლევთ თქვენ თქვენს მინისტრს, ამის უფლებას, რომ იგი თვითნებობით მოქმედებდეს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მინისტრს ამის უფლება არა აქვს. თუ ამის უფლებას მიანიჭებთ მინისტრს შეეძლება ყველა მოქალაქე დაიჭიროს.

აქ მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტრო ებრძვის ყოველგვარ ანარქიას როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ. ბატონებო, მართალია ზოგიერთი პირების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ უკანონოდ ისჯება ისეთი ადამიანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენის აზრით უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენს უფლებრივი ცხოვრება, და მისი დაცვა ვიდრე ასეთ პირობების წინააღმდეგ უკანონო ბრძოლას.

მე კიდევ ვაცხადებ ფრაქციის სახელით, რომ მინისტრის პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი.

**ალ. ახათიანი** (ერ. დემ.). ამ საქმეში ბატონებო, ყურადღებას იქცევს პირველი მომენტი: ის, რომ დაჭერა ბ. ჩარკვიანისა მოხდა არა სათანადო უწყების მიერ, იგი დააპატიმრა ისეთმა ორგანიზაციამ, როგორიც არის სახალხო გვარდია, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. (ორატორი კითხულობს გვარდ. ორგანიზაციის კანონის 2 და 11 მუხლს. ხსენებულ მუხლებში აღნიშნულია, თუ როგორი დაწესებულებაა გვარდია და ვის შეუძლიან მის გამოწვევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გვარდიის რაზმი ჩარკვიანის შესაპყრობად არ ყოფილა გამოწვეული არც მთავრობის თავმჯდომარის, არც დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის და არც გვარდიის მთავარშტაბის მიერ.

ერთი თვით წინ ვიდრე ჩარკვიანს შეიპყრობდენ იყო ცნობა, რომ ჩარკვიანს ეძებდენ.

როდესაც მოხდა ჩარკვიანის გატაცება (ეს გატაცება იყო, რადგან მივიდენ კაცთან შეიარაღებული ძალები და ისე შეიპყრეს, ყოველივე საბუთის წარუდგენლად). სათანადო უწყებამ არც კი იცოდა, თუ ვინ იყვნენ ბ. ჩარკვიანის შემპყრობნი. ამ დროს გუბერნატორად მყოფი ბ. მაღლაკელიძე და კომისრები შეშფოთებულნი იყვნენ მომხდარ ამბის გამო.

თვით ბატონი მინისტრი ღებულობდა ზომებს, რომ შეეტყოთ, თუ ვინ წაიყვანა ჩარკვიანი. ბოლოს, როგორ ც იყო შეიტყო, რომ ჩარკვიანი გვარდიელებს დაეტუსაღებინათ ტრამვაის პარკში და გვარდიელებს მოეთავსებინათ სატუსაღოში.

ამის შემდეგ დაიწყო ძიება იმის, თუ რა დანაშაული მიუძღოდა ბ. ჩარკვიანს.

ამის შესახებ აქაური პროკურორი შეეკითხვას უგზავნის ქუთაისის პროკურორს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩარკვიანს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბ. ონინის მკვლელობაში.

შემდეგ ჩარკვიანს დააბრალეს ორი წლის წინად მომხდარ მკვლელობაში მონაწილეობა. გამოირკვა, რომ იმ დროს ჩარკვიანი იყო ისეთ ადგილას, რომ მას მონაწილეობის მიღება არ შეეძლო.

თვით ბ. ონინის მკვლელობა, რომლის შესახებაც ბ. მინისტრი ბრძანებს. რომ იგი მოხდა ბ. ჩარკვიანის არა პირდაპირ მონაწილეობითო, მილიციის მონაწილეობით მოხდა, მიზეზი ამ მკვლელობის 2 კაცის გაუგებრობა იყო. თუ ვინ არიან მკვლელები მე მგონი აქაც ძიება არ უნდა. ასე რომ არავითარ არგუმენტით ასეთი მდგომარეობის გამართლება არ შეიძლება.

ბოლოს და ბოლოს უნდა გამოირკვეს, არის თუ არა ჩვენს სახელმწიფოში დაცული ელემენტარული სახელმწიფოებრივი წესები.

როდესაც აქ შინაგან საქმეთა მინისტრი ლაპარაკობდა აქვე ბრძანდებოდა იუსტიციის მინისტრიც და მე მინდა შევიტყო ღებულობს რაიმე ზომებს ეს სამინისტრო რომ არ ხდებოდეს ასეთი ალრევა უფლებების, როგორიც მოწმენიც ჩვენ ვართ?

(დასასრული შემდეგ).

## ონის რაბინის დეპეშა

დღეს ონის ებრაელობა დიდის ზეიმით შევიდა ახლად აგებულ შენობაში—ებრაულ სკოლა თალმუდთორაში და ერთ-ხმად დაადგინა მიგესალმოსთ თქვენს აღმატებულებას, როგორც საქართველოს ყველა ერების საამაყო უფროსსა და სამშობლოს დიდ მფარველს და გამოსთქვამენ იმედს, რომ გამოზრდიან ამ ებრაულ სასწავლებელში როგორც მთლიანი ებრაელობის, აგრეთვე სამშობლო საქართველოს და მის დემოკრატიული მთავრობის ერთგულ შვილებს, იმ იმედით, რომ განხორციელდეს თქვენი უმაღლესი იდეალები, რომელიც საბედნიეროა ყველა ერებისათვის და მიანიჭებს საქართველოს ებრაელობასაც სრულ ეროვნულ კულტურულ ავტონომიას.

რაბინი ბააზოვი.

## საპ. - სამრეწვ. საქციო საზ. „საქართველო“.

ყველა ადგილებზე ხელის მოწერა სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგ. „საქართველო“ს აქციებზე ამ დღეებში უნდა დამთავრდეს. მყისვე უნდა შეიკრიბოს ყველგან ადგილობრივ ბანკში აქციების ფული. ყოველგვარი ცნობები ან რამდენი აქცია გავრცელდა ადგილობრივ, ვინაობა აქციონერთა, მათი დაწვრილებითი მისამართი, მოკრეფილი ფულის თანხა და სხ. უნდა ეცნობოს მთავარმართველს ინსტრუქციებში აღნიშნულ წესით.

ჯერ ხნობით ცნობებია მოსული რამოდენიმე მაზრებიდან, რაც მოწმობს, რომ ხელის მოწერა სასურველად ჩატარებულა. საჭიროა, რომ ყველა ადგილებიდან ცნობები საჩქაროთ გამოიგზავნოს ქ. თბილისში ხელის მომწერთა ფული შეაქვთ სასოფლო სამეურნეო ბანკში სასახლის ქ. № 6.

## სამინისტროებში

### შინაგან საქ. სამინისტროში

**თავდასხმა კომისარზე.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „30 სექტემბერს მთვრალმა შეიარაღებულმა ჯგუფმა იარაღი აჰყარა სამსახურის შესრულების დროს ქალაქის კომისარს. 2 მათგანი დატუსაღებულია გამოწვეულ გვარდიის დახმარებით“.

ხაშურის ქალაქის თავი ნ. პატარაია.

**საყარაულო გუნდი ქუთაისში.**

1 ბრიგადის უფროსი პოლკ. ართმელაძე შუამდგომლობს, რათა ქუთაისში დაარსებულ იქნეს საყარაულო გუნდი საპატიმროების დასაცავათ.

### შრომის სამინისტროში

**საავადმყოფო კასების შესახებ.**

თბილისის გუბერნიის შრომის კომისარმა მიწერილობა გაუგზავნა თბილისის მექარხნეებს და მათ წარმოებებს გადახდებათ პროცენტები საავადმყოფო კასისთვის და ისინი მიწერილნი იქნებიან თბილისის საქალაქო საავადმყოფო კასაზე.

**ბაღების იჯარის ახალი რაოდენობის შემუშავება**

სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შუადღის 3 საათზე ორთაჭალაში (ვორონცოვის ქ. შუბლაძის ბაღი) დანიშნულია თბილისის და მისი რაიონის ბაღების პატრონების და მოიჯარადრეების საერთო კრება გაირჩევა საკითხი იჯარის გადიდების შესახებ.

### მიწათ-მოქ. სამინისტროში

**სახელმწიფო მამულების ღვინის გაძვირება.**

1 ოქტომბრიდან მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ მომატებულ იქნა სახელმწიფო მამულების ღვინის გასაყიდი ფასები:

შერეული ღვინო № 22 23 მან. ბოთლი, № 26—33 მან. № 64 წინანდლი—35 მან. № 65 მუკუზანი—33 მან. № 66 ნაფარეული 33 მან. № 72 მუხრანი—33 მან. 75 აფხანაური 25.

**ბორჯომის წყლის გაძვირება.**

მიწათ-მოქმედებ ს სამინისტრომ ახალი ხელშეკრულება დასდო კონტრაქტი დ. ქებაძესთან. ამ ხელშეკრულების ძალით დ. ქებაძე თითო ბოთლი ბორჯომის წყალში 6 მანეთს იხდის ნაცვლათ 3 მან. ბორჯომის ბოთლი წყალი გაიყიდება 8 მან.

**ღვინის და კონიაკის დამზადება.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ 3 მილიონი მანეთი მიიღო მთავრობისგან „ვარციხის“ სახელმწიფო მამულში კონიაკისა და ღვინის დასამზადებლად.

### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში

**ახალი რკინის გზები.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარედგინა დასამტკიცებლად ახალი რკინის გზის შტოს წესდება. განზრახულია გაყვანილ იქნეს ქუთაისიდან ხონამდე 72 ვერსის მანძილისა და მცირე შტო წყალტუბომდე 32 ვერსის სიგრძისა. ამ რკინის გზის პატრონები იქნებიან ქუთაისის მაზრის ერობა და ქ. ხონის თვითმართველობა. რკინის გზის გასაყვანათ საჭირო თანხა 16 მილიონი მანეთი ობლიგაციების გამოშვებით იქნება შეგროვილი. ამ გზაზე ჯერჯერობით ივლის სხოლოდ ოთხი საბარგოდ. სამგზავრო მატარებელი.

**მიხალმება მინისტრს.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ქუთაისიდან: „დასავლეთ საქართველოს ხაზინების მოსამსახურეთა წარმომადგენლების მეექვსე მორიგე ყრილობა მოგესალმებათ თქვენ, ბ-ნო მინისტრო და მათ წარმომადგენელთა ბედ-იღბალს გაბარებთ თქვენ, როგორც უწყების სათავეში მდგომს. ყრილობა გამოსთქვამს იმედს, გაუწევთ მათ მფარველობას და მზრუნველობას“. ყრილობის თავმჯდომარე ურიდია.

### საგარეო საქ. სამინისტროში

**აჭარის ყრილობის დადგენილებანი.**

აჭარის ყრილობის დადგენილება შუამდგომლობას ამჟამად იხილავს დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისია და ამზადებს დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად. დამფუძნებელ კრების მიერ განხილვის შემდეგ გადადგმული იქნება შესაფერი ნაბიჯი მოკავშირეთა წინაშე.

**აჭარელთა საჭიროების გამორკვევა.**

ბათომის გენერ.-გუბერნატორმა საგანგებო კომისია გაგზავნა ბათომის ოლქში აჭარელთა სხვა და სხვა გასაჭირის გამოსაკვლევად. კომისიის მუშაობის შედეგის მიხედვით აჭარლებს შესაფერ დახმარებას აღმოუჩენენ.

**დიპლომატიურ წარმომადგენლის გამგზავრება სომხეთში**

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში გერასიმე მახარაძე თბილისიდან ერევანში გაემგზავრა.

**ყარაულების დაყენება პოლკოვნიკ ჰასკელის ბინის წინ**

მოკავშირეთა უმაღლეს კომისარის კავკასიაში პოლკ. ჰასკელის შუამდგომლობით მისი სადგომის წინ მის ქონების დასაცავად დაყენებულია ქართველი ჯარისკაცები მცველებათ.

### იუსტიციის სამინისტროში

**ტუსაღების გაქცევა**

ფლავიდან დეპეშით აუწყებენ იუსტიციის სამინისტროს, რომ გამომძიების ქვეშ მყოფი ტუსაღები მინდიაშვილი, ჯანდერაზვილი, ჩეკურაშვილი, გულაშვილი და მათუაშვილი წყალზე გაუგზავნიათ ყარაულის ქვეშ. გზაში ტუსაღებს იარაღი აუყრიათ ყარაულისთვის და გაქცეულან.

**მილიციელის მოკვლა**

სოხუმის საოლქო სასამართლოს პროკურორი აუწყებს იუსტიციის სამინისტროს, რომ ამას წინად უცნობ ბოროტ გამზრახველებს მოუკლავთ სამურზაყნოს მაზრის შტოს თემის მილიციელი გაბა შერვაშიძე. გამოძიება სწარმოებს.

**კაპ. კილურაძის საქმე**

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი ქაღალდი გაუგზავნა იუსტიციის სამინისტროს: მთავარ შტაბის წინადადებით ორი თვის წინად შეუდგა ყაჩაღობასთან ბრძოლას. 15 დღის წინად ოზურგეთის შტაბმა სოფელ ლიხაურში ცნობილ ყაჩაღების დასაჭერათ კაპ. კილურაძის და პრაპ. ჭანიშვილის მეთაურობით გაგზავნა გვარდიელთა რაზმი, რომელიც გარს შემოერტყა ერთ სახლს და სროლის დროს სახლის პატრონნი ცოლით და ქმრით დაიხოცნენ. ხსენებული ოფიცრები დააპატიმრეს და გადასცეს გამომძიებელს, რომელიც მათ უბრალო, სისხლის სამართლის წესით დასასჯელ დამნაშავეებათ, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობის ან უფლების აღმატების გამო. მთავარი შტაბი სთხოვს იუსტიციის მინისტრს შესაფერი განმარტება მისცეს ოზურგეთის ნაწილის გამომძიებელს.

## ქრონიკა

✦ **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის და დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის გამგეობის შეერთებული კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე შესდგება ერ.-დემ. პარტ. მთავარი კომიტეტისა და დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის შეერთებული კრება. წესრიგია: შეთანხმებული მუშაობის გეგმა და სხ. საკითხები.

✦ **დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის გამგეობა,** სთხოვს თავის წევრებს აუცილებლივ დაესწრონ კავშირის გამგეობისა და ეროვ.-დემოკრატიის მთავარ კომიტეტის შეერთებულ სხდომას კვირას საღამოს 7 ს. ეროვ. დემ. პარტიის მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ. № 5.)

✦ **ტიტე მარგველაშვილის ნაწარმოები** „საქართველო-საქსოვი მრეწველობა საქართველოში“, რომელიც წაკითხულ იქმნა ლექციად ბევრ დაბა-ქალაქებში, დაიბეჭდა საქართველოს ეკონომისტში № 10.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა სთხოვს თავისუფალ ინჟინრებს და ტეხნიკოსებს საჩქაროდ მიაწოდონ ცნობები ნამსახურობის შესახებ და მისამართი ინჟ. ვ. კაკაბაძეს, თბილისი, დიდი მთავრის ქ., № 70.

### კრებები

✦ **გეოგრაფიული საზოგადოება.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ საინიციატივო ჯგუფი იწვევს საშუალო და დაბალ სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს და აგრეთვე გეოგრაფიასთან ახლო მდგომ პირებს გეოგრაფიულ საზოგადოების საორგანიზაციო კრებაზე, რომელიც დანიშნულია, ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის სოულ 5 საათზე ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმში (მტკვრის სანაპირო, ვერის ხიდის მახლობლათ).

✦ **საქართველოს ისტორიული და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, დილის 10 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, მოხდება საქართველოს ისტორიული და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ჯერ წაკითხული იქნება საზოგადოების თავმჯდომარის ე. თაყაიშვილის მიერ მოხსენება,—„ყარსის ოლქის ზოგიერთი ქართული ძველი ნაშთები“, და შემდეგ განიხილავენ საზოგადოების წლიურ ანგარიშებს 1918 წლისას და კრების სხვა მორიგ საგნებს. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

✦ **კვირას 12 ქვინობისთვეს** 1919 წ., დილით 10 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში დანიშნულია თბილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა დელეგატების საზოგადო კრება. განსახილველია: 1. მოხსენება საბჭოს თავის მოქმედების და მეიდრო კავშირის შექმნის შესახებ. 2. საბჭოს მუშაობის დამაბრკოლებელი მიზეზები. 8. საშუალებანი კავშირის გასაცხოველებლად. 4. წესდების მე-20 ე მუხლის შეცვლა. 5. კომიტეტების უფლებები. 6. ეკონომიური მდგომარეობა და 7. მიმდინარე საქმეები. მოხელეთა კავშირის საბჭო სთხოვს დელეგატებს აუცილებლივ დაესწრონ ხსენებულ კრებას.

### წარმოდგენები

**ძუკუ ლოლუას მესამე კონცერტი.** დღეს მეორე ქართულ კლუბში (მიხეილის პროსპექტი № 129) გაიმართება დასავლეთ საქართველოს დამსახურებულ ლოტბარის და ცნობილ მომღერალის ძუკუ ლოლუას კონცერტი ფრიად საინტერესო პროგრამით. კონცერტი ოთხ განყოფილებიანია, გურულ-იმერულ-მეგრულ აფხაზურ სიმღერებით, ცეკვა-თამაშით და ჩვეულებებით. დასაწყისი სწორ 8 ნახევარ საათზე.

## აზერბაიჯანი

**შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ცირკულიარი დაგზავნა:

„ამ წლის ივლისის ოცს ცირკულიარით განმარტებულია, რომ ადმინისტრაციის მოხელეთაგან სამხედრო ფორმის ტარება შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც აქვთ ოფიცრის ხირისხი, ადმინისტრაციის დანარჩენ მოხელეთ კერძოთ პოლიციელებს, ახალ ფორმის შემოღებამდის ევალებათ ატარონ რუსეთის კანონებით დაწესებული ფორმა.

სამხედრო მინისტრი კვლავ წარუდგა მოხსენებით მთავრობას და აღნიშნა, რომ ბოლო არ ეღება პოლიციის მოხელეთა მიერ ოფიცერთა ფორმე სამკაულების ტარებას, ამიტომ კვლავ მოგიწოდებ თქვენო აღმატებულებავ მიიღოთ გადამწყვეტი ზომები ამ მოვლენის მოსასპობად.

## სომხეთში

ერევნიდან, 2 ოქტომბერს, დეპეშით ატყობინებენ, „აზხატავორს“ შემდეგს.

„შარურის მაზრაში სიკვდილს გადარჩენილი სომხები მოგროვილან სოფ. ხანუხლარში, მათი რიცხვი 220 არის, და იმყოფებიან საშინელ მდგომარეობაში. ნახიჩევანში დარჩენილან 5 სომეხი, ასტაპატში—800, ჯაჰარაში—300. ჯულფიდან სპარსეთს გაქცეულა —800 სომეხი. თანარჩენ სოფლების სომხები დახოცილან. გოღთანში გადარჩენილა ორი სოფელი აქულისი და ჩანაბანი. ტანაკერტი და აგან განადგურებულია. მთიანი სოფლები გარშემორტყმული არიან თათრების ბრბოებით. გ დარჩენილი სომხები მთეებში შიმშილით იხოცებიან.

**მაქსიმ გორკი დიპლომატი**

პოლტავიდან იუწყებიან, რომ ამ ბოლო დროს ხმები იყვნენ, რომ მითომ მაქს. გორკისთვის წინადადება მიუციათ გარეშე საქმეთა კომისარის თანაშემწეობის მიღების. გორკის უარი უთქვამს. მიუხედავად ამისა მაქსიმ გორკი ამ დღეებში გაემგზავრება საზღვარ-გარედ დიპლომატიურ მისიით.

(„აზხატ.“)

**პაპი და სოციალისტური მოძრაობა**

პაპი ბენედიქტე XV მალე გამოსცემს ღვთის ფურცელს ახლანდელ რევოლუციონურ-სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ. („აზხატ.“)

**პეტროგრადის მუშათა საბჭო შერიგებას მოითხოვს**

ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ პეტროგრადის მუშათა საბჭომ წინადადება მისცა რუსეთის სახალხო კომისრების საბჭოს ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება დაიწყოს ანტანტთან.

## უკრაინაში

**პეტლიურა ფედერაციის წინააღმდეგ.**

პეტლიურას გაზეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის უწყებაში დაბეჭდილია პეტლიურას საუბარი ფრანგულ გაზეთ „journal“-ის კორესპონდენტთან. პეტლიურას განუცხადებია, რომ მთელი მისი იმედები დამყარებულია მოკავშირეებზე, რომელთაგანაც იგი მოელის დიდ დახმარებას იარაღით და ტყვია-წამლით—ჩვენი მდგომარეობა მეტად უმწეოა, თუ მოკავშირენი არ დაგვეხმარნენ დავიღუპებით.

**უკრაინის მისია ვარშავაში.**

ვარშავაში ჩავიდა უკრაინის საგანგებო მისია. მისიას უფროსობს ყოფილი გზათა მინისტრი პილიპჩუკი. მისიის მიზანია პოლონეთისა და უკრაინის შორის ურთი ერთობის განმტკიცება. პოლონელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს პილიპჩუკმა განაცხადა ჩვენ ერთნაირ ენერგიით ვებრძვით როგორც ბოლშევიკებს ისე რეაქციონურ რუსეთს. ტყუილია ის ხმები, თითქოს უკრაინას ფედერაცია სურდეს. რუსეთთან მას არ სურს არავითარი დაახლოვება რუსეთთან.

**პეტლიურა და მოკავშირენი.**

„უკრაინ კოზაკ“ უარყოფს ცნობებს თითქოს პეტლიურა ფილკიროსიანთან ფედერაციას იცავდეს. პეტლიურა უკრაინის სრულ დამოუკიდებლობის მომხრეა.

**დირექტორიის თათბირი.**

„უკრაინა“ იუწყება: მოხდა უკრაინის დირექტორიის თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღო პეტლიურამ, შტაბის უფროსმა იუნკოვმა პრემიერმა მაზეპამ, სამხედრო მინისტრმა პეტროვმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა ლევიცკიმ. დირექტორიამ ითათბირა პეტლიურის ჯარის მოხალისეთა ჯართან მომხდარ შეტაკებაზე.

## კაუტსკი და ბრენდინგი ბოლშევიზმის შესახებ

**კაუტსკი.**

გერმანელმა სოციალისტმა კაუტსკიმ დაბეჭდა წიგნი ბოლშევიზმზე, რომელშიაც ბოლშევიზმს იგი ადარებს ტერორის სამეფოს საფრანგეთის რევოლუციის დროისას. შესაძლოა თავში ბოლშევიკებს კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, ამბობს კაუტსკი, მაგრამ მათ ჩაიდინეს შეცდომა, როცა გარეკეს დამფუძნებელი კრება და დაამყარეს კომუნისტური დიქტატურა. ამ მომენტიდან ბოლშევიკური რეჟიმი გადაიქცა ტერორად. ბოლშევიკებს ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგი დაემართათ იმისა, რასაც ელტოდნენ. დაიწყეს რა ოპოზიციიდან, სიკვდილით დასჯიდან, დაამთავრეს ჯგუფობრივი სიკვდილით დასჯით. მათ მოსპეს მილიტარიზმი იმის გულისთვის რომ, ფიცხლავ აღედგინათ იგივე, ისინი ინტელიგენციას ისე უყურებდენ. როგორც პარიებს, მხოლოდ იმიტომ რომ მიეწვიათ საპასუხის გებო თანამდებობებზე და გადაეცათ დიქტატორული უფლება, ასე რომ მუშათა საბჭოები პარტიო ქაღალდზე არსებობენ ბოლშევიზმისგან არ აღსდგება ახალი საზოგადოება კლასთა განურჩეველი, არამედ ახალი კაპიტალიზმი ბოლშევიზმი მიცურავს როგორც ზღვის ცხოველი კრაპი გვერდზე.

**ბრენდინგი.**

მეორე ლიდერი შვედელ სოციალისტებისა ბრენდინგმა ინტერვიუს დროს შემდეგი განაცხადა „ბოლშევიზმი ეს საწინააღმდეგო მოპირდაპირის დემოკრატიაა. ბოლშევიკური დოქტრინა სრულიად ეწინააღმდეგება სოციალისტურ დემოკრატიას. ბოლშევიზმი ეს პოლიტიკაა პატარა ნაწილია მუშათა კლასისა, რომელიც აპირებს საზოგადოების ძირითად ფუძის შეცვლას და ანგარიშს კი არ უწევს უმრავლესობისას გრძნობა სურვილებს. ბოლშევიზმი საზოგადოების ევოლიუციას არა სცნობს. მარქსმა და მის მოწაფეებმა კი მიუხედავათ ცუდათ გადმოცემულ იდეებისა მაინც საფუძვლათ სუყველას დაუდვეს სოციალისტური კოლლექტივური საზოგადოება. რუსეთში ხალხის მდგომარეობა ისეთივეა როგორიც იყო ამ 300 წლის წინათ. ეკონომიურ მხრივ ეს ქვეყანა ჩამორჩა დასავლეთ სახელმწიფოებს. ამნაირ გარემოებაში სოციალისტურ სახელმწიფოს დამყარება ქვიშაზე შენობის აგებას ნიშნავს და სოციალისტურ დოქტრინის წინააღმდეგ წასვლა. იმ შედეგების და მიხედვით რომელიც მივიღეთ შესაძლოა მსჯავრი დავსდოთ რომ ამნაირ სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. მიუხედავათ იმისა რომ რუსეთი განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, მაინც ამ რეჟიმის დაცემა აუცილებელია, მაგრამ შეიძლება გასტანოს ამან გვიანთა გაუნათლებლობის და შეუგნებლობის გამო. ამნაირი მდგომარეობა ვერ გასტანდა სხვა განვითარებულ ქვეყანაში, რომელიც მალე მოსპობდა იმ რეჟიმს რომელსაც შეუძლია შექმნას სიღატაკე და ყოველ გვარი უბედურება ყველასთვის.

## ეროვნ. დემოკრ. ფრაქციის შეკითხვა

ჩვენი ფრაქციის შეკითხვამ ჩარკვიანის საქმის შესახებ დიდი საპარლამენტო ბრძოლა გამოიწვია. ამ ცხარე ბრძოლაში ყველა ფრაქციებმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა და თვით მმართველი ფრაქციის წევრები და მთავრობის წარმომადგენელნი, რომელნიც ამ ბრძოლის მონაწილე იყვნენ, ჩვენ ვფიქრობთ ისევე ჰფიქრობენ ამ შეკითხვის შესახებ, როგორც ჩვენ და ყველა სხვა ფრაქციები: მმართველი პარტია და მთავრობა ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. რასაკვირველია, მმართველი ფრაქციის თითებმა თითქოს აქაც გამოიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტრო ფრიად მძიმე მდგომარეობიდან, მაგრამ ვაი ასეთის ხსნას. მმართველი ფრაქციის ვერც ერთმა წევრმა ვერ გამონახა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის რაიმე სანუგეშო და საიმედო სიტყვის თქმა. ევროპაში და მგონია არც სადმე სხვაგან არ მოიძებნება ისეთი პარლამენტი, სადაც რომელიმე სამინისტროს ასეთი ამბავი გადახდომოდეს და ბოლოს საქმე ისე დასრულებულიყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს არაფერიაო. ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციამ მთავრობას ორი ბრალდება დაუყენა. პირველი ის, რომ მოქალაქე ჩარკვიანი რუსთაველის ქუჩაზე დღის სინათლეზე მოიტაცეს და დაიჭირეს ისეთმა პირებმა, რომელთაც არავითარი ასეთი ფუნქციები არ აქვს კანონით მინიჭებული. როგორც შემდეგ გამოირკვა ჩარკვიანი გვარდიას დაუპატიმრებია. მეორე ბრალდება: შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როდესაც გაიგო, რომ ჩარკვიანი დაპატიმრებულია გვარდიის მიერ თვითნებურად, უნდა გაენთავისუფლებია და დამნაშავენი სამართალში მიეცა. ამის ნაცვლად სამინისტრო გვარდიას ვითომც გამოძიების წარმოების უფლებას აძლევს. ბრალდება ჩარკვიანის წინააღმდეგ წამოაყენეს ქუთაისში ონიანის მოკვლაში მიიღო ესა თუ ის მონაწილეობაო. როდესაც ამის შესახებ შეეკითხენ ქუთაისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს, და მიიღეს პასუხი, რომ ჩარკვიანის წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არ იყო აღძრული, სამინისტრო ჩარკვიანს მაინც არ ანთავისუფლებს და იგონებს ახალს ბრალდებებს: მან ერთს მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა ამ ორი წლის წინადო. როდესაც ჩარკვიანმა დაამტკიცა, რომ ის ამ მკვლელობის დროს იყო სარაყამიშში სამსახურში, მას ახალი ბრალდება დაუყენეს: 1905 წელს მიიღე მონაწილეობა ერთს მკვლელობაშიო. არავინ უწყიდა ვისი მკვლელობა ჰქონდა მხედველობაში სამინისტროს. ასე გრძელდებოდა სხვა და სხვა ბრალდებების ძებნა.

შეკითხვა წარდგენილი იყო ერთი კვირის წინეთ. მაშინ მთავრობამ მისი გადადება მოითხოვა—მზად არ ვართ პასუხისთვისო. პარასკევის კრებაზე მთავრობას უნდა ეგო პასუხი დაყენებულს კითხვებზე.

მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი არ ეწერება საპასუხოდ, არც მმართველი ფრაქცია იღებს ხმას. ისევ შემკითხველი ბ. მაჭავარიანი იღებს სიტყვას და ხელ ახლა ასაბუთებს თავის შეკითხვას. ერ.-დემ. ფრაქციის წევრები ადგილებიდან სთხოვენ მოგვეცით, განმარტება შეკითხვაზე, მოგვეცით პასუხიო. უხერხულობა იბადება. სიტყვას იღებს ბ. გიორგაძე (სოც.-დემ.) შინაგან საქმეთა მინისტრს არ სცალიან ამ ჟამად და შეკითხვა გადა[illegible] [illegible]მჯდომარე ამას არ ეთანხმება—რეგლამენტი არ მაძლევს ნებასო. მთავრობას ისევ იწვევენ დეპუტატების სკამებიდან: მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე აქ არის, მან მოგვცეს განმარტებაო. ბ. ჭიჭინაძე იძულებულია სიტყვა აიღოს. ის ბოდიშს იხდის კრების წინაშე, რომ ამ საქმეზე განმარტებას ვერ მისცემს კრებას. ასეთს პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვერ ვიღებო. ყველა მასალები ბ. რამიშვილს აქვსო. ბოლოს წინადადება შემოდის, რომ კრება შეწყდეს ბ. რამიშვილის მოსვლამდე.

კრება იხსნება და ბ-ნი რამიშვილი გამოდის თავის განმარტებით. პირველს ბრალდებაზე ის პასუხს იძლევა: მართალია ჩარკვიანი დაიჭირა გვარდიამ უორდეროთ, ჩემდა დაუკითხავად, მაგრამ ჩვენ თვითონ ვაპირობდით ჩარკვიანის დაპატიმრებას და ეს ალბად იცოდა გვარდიამ. ჩვენ განკარგულება გვქონდა გაცემული ერთი თვის წინეთ დაჭერამდე, რომ ჩარკვიანი დაეჭირათ, ვინაიდან მას ჩვენი ცნობებით „ესა თუ ის მონაწილეობა“ ჰქონდა მიღებული ქუთაისში ონიანის მკვლელობის საქმეშიო.

ამაზე რამიშვილს უპასუხეს, რომ დაჭერის დღეს მისი ხელმძღვანელობით გენერალ-გუბერნატორი, მილიციის უფროსი და ყველა სხვა რაზმები ფეხზე იყვნენ დაყენებული იმის გამოსარკვევად თუ ვინ და რა მიზეზით დააკავა ჩარკვიანი, რომ ბრალდება ონიანის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კი არ წამოუყენებია, არამედ გვარდიამ წამოაყენა. თუ თქვენ გქონდათ გაცემული ბრძანება ერთი თვის წინეთ, გვაჩვენეთ ეს ბრძანება სად არისო. თქვენ ეს საქმეები არ გვაჩვენეთ სამინისტროში, ეხლა მაინც გვაჩვენე აქ და ჩვენ თქვენივე საქმეებით დაგიმტკიცებთ, რომ ყოველივე ეს ასე იყოვო უპასუხეს ეროვ. დემ. ფრაქციის წევრებმა.

მეორე ბრალდების შესახებ ბ. მინისტრმა ასევე სიფუძვლიანი საბუთები მოიყვანა. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ მან მონაწილეობა მიიღო მკვლელობაში ამ ორი წლის წინეთ, და კიდევ ადრე, 1905 წ. მიიღო მონაწილეობა მკვლელობაშიო. რომელ და ვის მკვლელობაში ამას მინისტრი არ ასახელებს.

ამაზედაც უპასუხებენ მას. ონიანის მკვლელები ვინ იყო, ეს ყველამ იცის ქუთაისში. ხალხმა და პროკურორმა. ეს იყო მილიცია. მაგრამ მთავრობა იმ მიზნით, რომ ონიანის მოკვლისთვის ქვემო სვანეთი არ გადაუდგეს, ეძებს, რომ ვინმე სხვას მოახვიოს თავზე ეს მკვლელობა. ამ მიზნით მან რამოდენიმეჯერ დააპატიმრა სხვა და სხვა პირები. სხვა მკვლელობაც ასევე შეთხზულია. როდესაც ჩარკვიანი სულ ადვილად ამტკიცებს ასეთი ბრალდებების უსაფუძვლობას, მას მაინც არ ანთავისუფლებენ.

ასეთი სურათი წარმოუდგა დამფუძნებელ კრებას ამ საქმის შესახებ. ამის შემდგომ ყველა ფრაქციებმა ცხარე იერიშები მიიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროზე.

უმწეო და უბადრუკი იყო ბატონ მინისტრის მეორე საპასუხო სიტყვა. არც ერთი საბუთი, არც ერთი დებულება. ბოლოს გამონახა ერთი უკანასკნელი საბუთი—ჩარკვიანის დაპატიმრება იყო სურვილი ორი მაზრის დემოკრატიისაო. რომ არ დაგვეჭირა, ვინ იცის რა მოხდებოდაო. სოციალ-დემოკრატების ფრაქციის სახელით ბ. კიკვაძემ უფრო ნაივლად გახსნა ფრჩხილები—თუ ჩარკვიანი არ დაემწყვდიათ, ზოგიერთი წრეები იყო მის წინააღმდეგ ამხედრებული და შეიძლება მოეკლათო.

ამ უკანასკნელი საბუთის შესახებ ბ. ი, მაჭავარიანმა შენიშნა: მთელი ორი მაზრის დემოკრატია თუ მოითხოვდა ერთი უბრალო მოქალაქის ციხეში ჩამწყვდევას, ეს სულ სხვა საქმეა, მაგრამ როდის მოახდინეთ თქვენ ანკეტა ამ მაზრებში და როდის მიიღეთ თქვენ ამ დემოკრატიისაგან ასეთი თხოვნაო? თუ თქვენ ჩარკვიანი დაამწყვდიეთ ციხეში იმიტომ, რომ მის წინააღმდეგი იყვნენ ზოგიერთი თავ-აღებული წრეები და შეიძლებოდა ის მოეკლად, მაშინ თქვენ კარგად უწყით, რომ ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ კიდევ უფრო ძლიერი წრეებია ამხედრებული და ამაიმანაც ასეთსავე საშვალებას უნდა მიმართოს და ციხეს შეაფაროს თავიო.

ასეთი ცხარე ბრძოლა არ ყოფილა არას დროს საქართველოს უმაღლეს დაწესებულებაში. საგულისხმოა, რომ ყველა უკიდურეს ფრაქციებმა შესძლეს უფლებრივ საფუძვლებზე დადგომა და ამ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე ისინი მტკიცედ იდგნენ ცხარე კამათის დროს. მხოლოდ მმართველი პარტია დარჩა განმარტოებული სრულიად ანტი—სახელმწიფოებრივი არგუმენტაციით. მორალური მათი განადგურება იყო სრული, ხოლო თითებმა იხსნეს ის, რაც ვერ დაიცვეს მათ გონებით და აზროვნებით.

ე—ლი.

## ბოლშევიკური ცნობები

**ვილსონი და საზავო კონფერენცია**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 3. ც. ა. კ. პ. ბ. ბიულეტენი. (დასაწყისი არ არის მიღებული). ფიქრობენ, რომ ვილსონი ხელშეკრულებას უკანვე დაიბრუნებს, რომ ისევ გადასცეს პრეზიდენტის არჩევის შემდეგ იმ შემთხვევაში თუ ის მიიღებს უმეტესობას. იაპონიასთან ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო აქამდე ცნობები არ მოსულა. ინგლისის წრეებში აცხადებენ, ასეთ მგომარეობის დროს, იტალიას არ შეუძლია დაიწყოს ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე თათბირი. ამ მდგომარეობის გამო პარიზის წრეები თავისთავს კითხვას აძლევენ, აქვს თუ არა რაიმე აზრი საფრანგეთისთვის, რომ ის ხელშეკრულების რატიფიკაციაში ჩაებას და თავისთავზე მიიღოს ზოგიერთი ვალდებულებანი იმ დროს, როდესაც ხელშეკრულება ჯერ ძალაში არ შესულა.

**თეთრგვარდიელთა ბრძანება**

**ვოლოგდა.** ენკ. 30. არხანგელსკში მყოფ თეთრგვარდიელთა სარდალმა მილლერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამდენხანს არხანგელის მრავალი მცხოვრები არ გამოცხადებულა რეგისტრაციისათვის ეროვნულ ლაშქარში ჩასაწერად. ვუბრძანებ ყველა დაწესებულებებს, რომლები მცხოვრებლებს სასურსათო ბარათებს ურიგებენ, არ მისცენ ბარათები იმ მამაკაცებს 17—50 წლამდე, რომლებიც რეგისტრაციულ ბარათს არ წარმოადგენენ. იმათ ვინც თავის მოვალეობას არ აასრულებს, გამოაცხადებენ ბოლშევიკების მომხრეებად და ფრონტზე გაგზავნიან.

**8 საათის სამუშაო დღის შესახებ**

**ნაუენი.** ენკ. 30. შვეციის პალატამ 126 ხმით 14 წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

**ფრანგი ყარაულები და მუშები.**

**ნაუენი ოქტ. 2.** ლუდვიგსგაფენიდან იუწყებიან, რომ მუშებსა და ფრანგ ყარაულებს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ფრანგებმა მრავალი მოქალაქე მოკლეს და დასჭრეს. მუშათა კავშირები მოითხოვს საფრანგეთის ყარაულების გაწვევას.

**ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული.**

**მოსკოვი.** ოქტომ. 3. რევ. სამ. საბჭოს პოლიტიკური მმართველობის განმანათლებელი განყოფილება იმუშავებს დაახლოვებით პროგრამას და ინსტრუქციებს წითელ ჯარში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის მოსაწყობად. ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისთვის მოახდინენ ყველა ლექტორების, აგიტატორების და ხელოვნების ძალების მობილიზაციას ზურგში და ფრონტზე კლუბებში და ყაზარმებში ლექციების, კონცერტების მიტინგების და წარმოდგენების გასამართავად.

**ალანდიის კუნძულთა საკითხი.**

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რადიო დეპეშა გაგზავნილი პარიზში, ლონდონში, რომში, ტოკიოში, სტოკჰოლმში, ჰელსინგფორსში, გარეშე საქმეთა სამინისტროების და ვაშინგტონში სახელმწიფო სეკრეტარიატის სახელზე მოკავშირეთა ქვეყნების რადიო დეპეშების ცნობით, 5 მთავარი სახელმწიფოს წარმომადგენელებმა და მათმა მოკავშირე სახელმწიფოებმა პარიზში გადასწყვიტეს დაიწყონ ალანდიის კუნძულების საკითხის გადაწყვეტა-ფინეთს დაუმორჩილონ თუ შვეციას.... (გამოტოვებულია). ალანდიის კუნძულებზე ვერ გაბატონდება ფინეთი, იმიტომ . . . . . (დამახინჯებულია).

**მოსკოვი.** მასა და რუსეთის შორის ხელშეკრულების გამო. ალანდიის კუნძულების შვეციაზე გადაცემა რუსეთის მონაწილეობის მიუღებლად შეუძლებელია რადგან ალანდიის კუნძულების გეოგრაფიული მდგომარეობა ფინეთის ყურესთან შესავალში აკავშირებს ...(გამოტოვებულია) რუსეთის საბჭოთა მთავრობა, ყოველთვის მის ძიერ აღიარებულ მშრომელთა თვითგამორკვევის პრინციპს არ ულალატებს და არ სურს ძალით დაიკისროს ....(გამოტოვებულია) არც ერთი ქვეყანას, აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა მთავრობა თავის ნებით სწყვეტს რა ალანდიის საკითხს, ითვისებს უფლებას, რომელიც მათ არ ეკუთვნის. რუსეთის საბჭოთა მთავრობა, აცხადებს, რა, რომ ალანდიის კუნძულების შესახებ არავითარ იმ ხელშეკრულებას არ მიიღებს რომელშიც თვითარ მიიღებს მონაწილეობას, პროტესტს აცხადებს ასეთი საქციელის გამო, და აფრთხილებს, რომ ასეთს გადაწყვეტილებას არავითარი ძალა არ ექნება იმ უზურპაციის გამო, რომელსაც სჩადის უმაღლესი ძალა უფლება სხვა ხალხის მიმართ.

**უნგრეთის მთავრობას.**

**ნაუენი, ოქტომბ. 2.** უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს აუწყებენ, რომ მოკავშირეები სცნობენ მის მთავრობას და მოითხოვენ კოალიციურ მთავრობის შედგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპრესიებით იმუქრებიან.

**ბრძოლა კოვნოში.**

**გომელი, ოქტომბ. 2.** კოვნოში ლიტველი ბოლშევიკები და გერმანელი სპარტაკელები აჯანყდნენ. ქუჩებში ბრძოლა მოხდა აჯანყებულებსა და პოლიციის შორის.

**თავდასხმა ებერტსა და ნოსკეზე.**

**ვიტებსკი, ოქტომბ. 2.** ბერლინიდან პრეზიდენტ ებერტზე და სამხედრო მინისტრ ნოსკეზე თავდასხმა მოახდინა. თავდასხმა უშედეგო გამოდგა.

**ვილსონის მიმართვა.**

**ბელოსტროვი, ოქტ. 2.** „მატენ“ს მოყავს ადგილები ვილსონის მიმართვიდან: ამერიკამ მოკავშირენი გადაარჩინა ომის დროს და ეხლაც თავიდან აცილებს გაღატაკებას. მიმართვა თავდება მსხვილი მიწათ მფლობელებისადმი მოწოდებით, დაკმაყოფილდნენ მცირე მოგებებით და მიზაათ დაისახონ აგრეთვე კაცობრიობის კეთილდღეობაც. მუშებს წინადადება ეძლევათ თავი შეიკავონ გაფიცვებისაგან.

**პურიშკევიჩი ომის შესახებ.**

**ნიჟნი ნოვგოროდი, ოქტ. 2.** გაზ. „ნედელი მაია როსია“-ში პურიშკევიჩი სწერს: „შეცდომა იქნება, ვიფიქროთ, რომ ევროპაში ომები აღარ იქნება. ომები სულ ამ მოკლე ხანში იქნება. ბრესტ-ლიტოვის და ვერსალის ხელშეკრულებებს ერთი და იგივე შედეგები მოყვება. გერმანიას მდგომარეობა მძიმეა მან რუსეთს მოსდო ბოლშევიზმი, რომლით თვითონაც მოიწამლა.

ცუდ მდგომარეობაშია ინგლისიც რომელსაც კარზე მისდგომია ბოლშევიზმი.

**გადატრიალების განზრახვა.**

**ბერლინი.** ენკ. 26 გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფარული საბუთი, რომელიც ერთ კომუნისტს უნახეს მიუნხენთან ახლო დაპატიმრების დროს, საბუთში სხვათა შორის არის ბრძანების ტექსტი, რომელიც ახალ გადატრიალებას და მთავრობის ჯარის იარაღის აყრას ეხება. ამ გეგმის თანახმად ფიქრობდენ ყაზარმებს დილით ადრე დასხმოდენ თავზე მას შემდეგ რაც ბინებს ღამით დაიჭერდენ. იმავე დროს უნდა დაეკავებიათ საზოგადოებრივი შენობები, მთავარი ქუჩები და მოედნები და ხელში უნდა ჩაეგდოთ სამხედრო საწყობები, საარტილერიო ბატარეა და სხვები, შემდეგ სახეში ქონდათ წითელი ჯარის დაარსება დანიშნული იყვნენ პირები, რომელთაც უნდა აეღოთ ხელში სარდლობა.

**ნახშირის შიმშილი საფრანგეთში.**

**ბელოოსტროვი.** ენკ. 30. ჰოლანდიური გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთი, რათა ნახშირის შიმშილი თავიდან აიცილოს, მთელი რურის ოლქის დასაჭერად ემზადება. ვერსალში დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიის მიმართ იძულებითი ზომების მიუღებლად შეუძლებელია ნახშირის დამუშავების გაძლიერება მაღაროს მუშების წინააღმდეგობის გამო.

**იტალია და სამხრეთი სლავიანები.**

**ლიონი.** ენკ. 3. იტალიის ოფიციალური წრეები იმ აზრის არის, რომ თუ სამხრეთ-სლავიანებთან იარაღის მონაწილეობით მოხდება უთანხმოება მთავრობა დ'ანუნციოს დაუხმარებლად ვერ დასტოვებს. ამის გამო აბაციაში 326 არმიის კორპუსის უფროსის გენერალ ჰანდოლფოს და დ'ანუნციოს შტაბის უფროსის რედოჟის შორის საუბარი მოხდა. ამის გამო „სტამპა“ სწერს: „ეჭვს გარეშეა, რომ საჭიროება თუ მოითხოვა, ორივე არმია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვა“.

**იაპონია და ამერიკა.**

**ბელოოსტროვი, ენკ. 3.** ჰოლანდიის გაზეთებს ტოკიოდან აუწყებენ, რომ იაპონია ამერიკის სენატის საბოლოო გადაწყვეტილებას უცდის იაპონიის მთავრობა წყნარ ოკეანეში ამერიკის ფლოტი შანდუნში საქმის მდგომარეობასთან აკავშირებს.

**შენკურსკი.** არხანგელსკის გაზეთებში დაბეჭდილია პარიზიდან მიღებული შემდეგი დეპეშა: „მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებს ბულგარეთთან 90,000 რუსულ თოფის და ტყვია წამლის საყიდლად. რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო მმართველობა აპირებს ეს იარაღი დენიკინს გაუგზავნოს, სამაგიეროდ დენიკინი პურს მიაწვდის.

**ბელოსტოკი.** ენკ. 30. როტერდამიდან „ფოსიშე ცეიტუნგი“-ს აუწყებენ, რომ მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ბედიტმა ვილსონს, დახხინგს და პოლკ. ჰოუზს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია საბჭოთა მთავრობის პირობები. ჰოუზმა დეპეშით უპასუხა. რომ ამერიკა მზადაა ამ პირობებზე ზავით შეეკრას ბოლშევიკებს. შემდეგ ჰაუზმა მას განუცხადა რომ პრეზიდენტი ამ ჟამად ისეა დაბანდებული საზავო ხელშეკრულებით. რომ ვერ შეუძლია ყურადღება მიაქციოს რუსეთის საკითხს.

**ახლო აღმოსავლეთში.**

**ლიონი, ოქტ. 2.** ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე დ-რი ჯემს ბარტონი, რომელმაც 8 თვის განმავლობაში გაიარა მცირე აზია, სირია, პალესტინა, მესოპოტამია და სომხეთი, და დაბრუნდა. მისი სიტყვით, იქ მდგომარეობა თან და თან უფრო საშიშო ხდება და მოსალოდნელი ხდება დიდი მტრული გამოსვლები.

**სამხრეთის ფრონტზე ჯარის გასტუმრება.**

**პეტროგრადი.** ოქტ 3. დღეს პეტროგრადის მუშებმა გააცილეს საუკეთესო პეტროგრადის მეგობრები, რომლებიც სამხრეთ ფრონტზე წავიდნენ. მატარებლის წინ რიგ-რიგად იდგნენ მუშა ქალები და მუშები.. მოსჩანს წითელი დროშები, ისმის მუშების სიმღერა. ტრიბუნაზე ადის ზინოვიევი, რომელსაც დიდ ოვაციებს უმართავენ: „მე ეხლა მივიღე წასასვლელათ გადმოსაცემად პატარა დეპეშა ჩვენ მასწავლებელ ლენინისაგან. ზინოვიევმა გადასცა დამწრეთ ლენინის დეპეშის შინაარსი, სადაც მხურვალედ მიესალმება და გამოთქვამს იმედს, რომ თავის მობილიზაციას ისინი მაქსიმუმამდე მიიყვანენ. ჯერ კიდევ შაბათს, ლაპარაკობს ზინოვიევი ც. ა. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, გაგზავნოს სამხრეთში საუკეთესო ძალები, მაგრამ არ გასულა რამდენიმე დღე, რაც პეტროგრადის ორგანიზაციამ უკვე სამი რაზმი გაგზავნა, რაიონებმა საუკეთესო მუშაკები მოგვცა. ჩვენი ორგანიზაციები ეხლაც პირველ რიგში არიან. ჩვენ ვგზავნით მათ, სრულის რწმენით, რომ შევხვდებით მათ როგორც გმირებს რომელთაც შესძლეს უკანასკნელი მტრის განდევნა. დასასრულ ზინოვიევმა მოუწოდა ყველას მტკიცედ დაიცვან თავისი პოზიციები, ზინოვიევის შემდეგ ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც.

**ქვანახშირის დამუშავება**

**ტულა,** ოქტომბრის 3. ტულის მიდამოებში დაიწყეს ქვანახშირის დამუშავება. სად. პლეხანოვოსთან უკვე გამოჩნდა ქვანახშირი.

**კომუნისტების ყრილობის დადგენილება**

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** ოქტომბრის 2. კომუნისტების საერთო ყრილობაზე მიიღეს დადგენილება, გაიგზავნოს ფრონტზე ყველა, ვისაც ბრძოლა შეუძლია, იმ აუცილებელ საპასუხისმგებლო პირების გარდა, რომელთაც ვერავინ ვერ შესცვლის.

**კომუნისტების გამგზავრება ფრონტზე**

**მოსკოვი, ოქტ. 2** რაიონულ პარტიულმა ორგანიზაციებმა გააცილეს სამხრეთ ფრონტზე წამსვლელი კომუნისტები. მატარებელთან შესდგა მცირე მიტინგი, სადაც კამენევმა ილაპარაკა: „მოსკოვის პროლეტარიატი, დაიწყო კამენევმა, პირველად არ გზავნის თავის საუკეთესო მუშაკებს ფრონტზე; მაგრამ არასდროს რუსეთის პროლეტარიატის მდგომარეობა არ ყოფილა ჯერ ისე მძიმე, როგორც ამ ჟამად. არასდროს ფრონტი—მოსკოვზე ისე ახლოს არ ყოფილა, როგორც ეხლა გენერალი დენიკინი კურსკსა და ორიოლის შუაა და დასვა საკითხი: ვინ იქნება მოსკოვში უფროსი წითელ არმიის და მუშათა ს ბჭოს დეპუტატები თუ მეფის გენერლის ბანაკი?

**მოსკოვი.** ეს საკითხი გადაწყდება ბრძოლის ველზე, სადაც თქვენ გაგზავნით დენიკინთან საბრძოლველად. ყველამ იცოდეს, რომ ხელჩართულ ბრძოლით უნდა გადასწყდეს საკითხი: იარსებოს თავისუფალმა პროლეტარიატმა თუ მონობის უღელი დაიდგას. გაცილებთ თქვენ მძიმე ბრძოლისთვის უმუსიკოთ და უვარდ-ყვავილოთ. იცოდეთ, რომ თქვენ დაგრჩათ ოჯახები და პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვარნი. თუ თქვენ უკან დაიხევთ, მაშინ იცოდით, იქ, სადაც პირველათ დამკვიდრდა საბჭოთა ძალა-უფლება, ისევ განმტკიცდება ექსპლოატორების ძალა-უფლება. კომუნისტებს უნდა დაავიწყდეთ, რომ არსებობს უკან დახევა. ჩვენ მოგცემთ ყველაფერს, რაც კი გვაქვს. ჩვენ შეუწყვეტლად თავს ვუყურით კომუნისტებს ზურგის გასამაგრებლად და იმედი გვაქვს, რომ თქვენი დახმარებით დენიკინს შავი ზღვის ნაპირებამდე გავდევნით“. გაუმარჯოს წითელ ჯარს“.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო) ღვინობისთვის 4.

### იტალიური პრესა

რომიდან იუწყებიან, რომ ოქტომბრის 6 ს იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ეკონომიური კომისიები ბრესტიდან შეერთებულ შტატებში გაემგზავრება იმ მიზნით, რომ ამერიკის ფართო წრეებს გააცნოს ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა და გამოარკვიოს აღდგენის ხანაში მოკავშირე და შეთანხმებულ ქვეყნების თანამშრომლობის აუცილებლობა.

საერთო რწმენა ისეთია, რომ პალატას არ შეუძლია და არც უნდა განაგრძოს მუშაობა. გაზეთები პალატის დათხოვნას მოითხოვენ. ნიტტიმ ყველა პრეფექტებს გაუგზავნა დეპეშა, სადაც სთხოვს არჩევნებში დახმარებას.

დანტე ალიგიერის სახელობის საზოგადოებამ 50,000 ლირა გადასცა ფიუმეს ეროვნულ საბჭოს.

„ტრიბუნა“—იუწყება, რომ ტიტტონის დღეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ნიტტისთან. ფიქრობენ, რომ მოკლე ხანში ტიტტონი ისევ გაემგზავრება პარიზში.

ფრანგული გაზეთები თანაგრძნობით შეხვდნენ ტიტტონის სიტყვას.

რადგანაც ვილსონი ამ ჟამად ავადაა ამერიკაში მიმავალ ბელგიის მეფე დედოფალს ვაშინგტონის „თეთრსასახლე“-ში ვილსონი თავის დაბრუნების შემდეგ მიიღებს.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**თეთრთა და შავთა ბრძოლა.**

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ათასამდის თეთრი დაეცა ციხეს სადაც მოთავსებული იყო მავრი, რომელსაც თეთრ დედაკაცის მოკვლა ბრალდებოდა. გამოწვეულმა ჯარმა ციხის მახლობლად მოედანი გაწმინდა; მაგრამ ჩხუბი ქუჩებში მაინც გაგრძელდა: მოკლულია 5. მათში სამი მავრი. დაჭრილია 20. 16 ტუსაღთაგანი, (მათში რამდენიმე კაცის მკვლელი) მიიმალა. მიიმალა აგრეთვე ის მავრი, რომელსაც ეძებდნენ ციხეში.

## პატარა ფელეტონი

### ესეც ჩვენი სპეკულიაცია

მოვემზადე წასასვლელად. ცხელამზე იკბინება, უსათუოდ გაავდარდება. იქნება გაავდრებამდის მოვასწრო სახლში დაბრუნება. მახლობლად შეუხვიე თუ არა ქუჩას დამხვდა თამარ. გზა გადუჭერ. ის ნამტირალი, სახე ატკრეცილი მიეჩქარებოდა, ხელში ცარიელი ჭურჭლით კალათა ეჭირა.

— თამრო, ველარ მიცანი! რათა ხარ აგრე შეწუხებული, რაზე გიტირია? დედა როგორა გყავს, მასწავლებლობა ხომ არ ჩამოგართვეს?

— ნულარ მკითხავთ! რა ხეირი დამეყრებოდა, საავადმყოფოდან მოვდივარ. რაც ჩვენ თავს ამბავი გადახდა—დაუჯერებელია. ჩემი ძმა, კოწია, უსამართლოდ რაღაც საძაგელ საქმეში გააბეს. ჯერ დაიჭირეს, ორი-სამი დღე დამწყვდეული ჰყავდათ. ახლა არევ-დარევით ლაპარაკობს, თავის ჭკუაზე არ არის და სულით ავათმყოფებთან დამიწვინეს. დღეს წვენი მიუტანე და თავზე გადამასხა. მერე კი მიცნო და მითხრა:—დედა ნურაფერს ნუ ეტყვიო. ჩვენი ხელმოკლეობა ხომ მოგეხსენებათ. ჩემი მასწავლებლობის ჯამაგირი, რას აგვივიდოდა. იმასაც ხომ შეიტყობდით-ჯამაგირს რომ დროზე არ გვაძლევდენ. ჯანგატეხილი დედა ბევრს ვერ იმუშავებდა და ვცდილობდით ჩემი ძმა კოწია დაგვებინავებინა. მართლაც ვუშოვეთ ადგილი. მაგრამ კოწიამ ვერ იგუვა ამხანაგები. გულუბრყვილომ, ალალ-მართალმა ველარ გაუძლო უსვინდისობას. იშკარათ ხედავდა, როგორ გაჰქონდათ სახელმწიფო სარჩო და ერთი ასათ ჰყიდენ. ამაზე გულზე სკდებოდა, თუ რასმეს ეტყოდა ამხანაგებს—ისინი მკვახეთ უპასუხებდენ: რა ვიცით, იქნება თვითონ შენ გაგაქვს საქონელი, ვისაც მოასწრობ -იმას დააბრალეო. სახლში კოწია დედას სულ ეუბნებოდა: ვერ გავძლებ ქურდებთან სამსახურს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ვამშვიდებდით და ახლა კი ჩვენ თავზე აუწერელი უბედურება დატრიალდა. ერთი კვირა არ იქნება რაც სახელმწიფო საქონელი ჰქონდათ იმათ მისაღები. კოწია და ეს ქურდბაცაცები წავიდენ ქალაქ გარეთ რომ ნაბძანები საქონელი მიეღოთ. მოუგვიანდათ, ღამემ მოუსწრო და ამ ქურდ ამხანაგებმა კოწია წაიყვანეს ღამის გასათენებლათ ქალაქიდან კარგა მოშორებით ერთ გაველანებულ დიდ სახლში, მოღალულ კოწიას მალე დასძინებია, ამხანაგები გაპარულან, წასულ წამოსულან. გათენებისას სახლის გასაჩხრეკათ მისდგომიან მილიციონერები და ბევრი იმათ საწყობიდან გამოტანილი ნივთები შიგ უპოვიათ. კოწიას მეტი სახლში ვერავინ უნახავთ და ის დაატუსაღეს, ყველაფერი იმას დააბრალეს—პარავდა და ალბათ იქ ინახავდაო. უბედურ კოწიას თავზარი დასცემია დაფანტულა. ამხანაგები ვიღომ და გამოსარჩლებიან, ამაზე! კოწია უფრო აღელვებულა, აღშფოთებულა და ახლა ჭკუაზე აღარ არის. ამბობენ ტიფი სჭირსო და მალე მოვა გონზეო, გამოძიება საქმისა დანიშნულია, ყველა გვშველის, არ ვიცი კი ჩვენი უბედურება რითი გათავდება. დედას ბევრს არას გვეუბნები და როდემდის კი არ ვიცი! უკაცრავათ, გაკვეთილზე მივეჩქარები!

— ყოჩაღათ იყავი, თამარო, სიმართლე თავისას გაიტანს, მივაძახე ყმაწვილ ქალს.

* * *

ჩაფიქრებული გავუდეგ ისევ გზას. მგონი დიდხანს მივდიოდი, უეცრათ შემომესმა:

— ასე შორს სად წამობრძანებულხართ? დიდ წვიმას აპირებს!

შევდექი. შემხედე სიდიანია. მართლაც ცა ჩაბნელებულიყო, მოისმოდა ქუხილი, კლაკვნა.

— სულ დასველდებით, ქოლგაც არ გქონიათ, რა კაი დროს შეგვხდით, შევიდეთ სადმე.

— აი ახლოს სამიკიტნოა, ვუთხარი მე, შევაფაროთ იქ თავი!

— განა იქ შებრძანდებით?

— რატომაც არა.

კარებზე კაცები იდგნენ. მაშინვე გზა დაგვიცალეს.

— შემობრძანდით ქალბატონო! წამოიძახა სიდონიამ დიდი მოწიწებით, მგონი უფრო იმიტომ, რომ უბრალო ვინმეები არ ვგონებოდით და ჩვენთვის პატივი ეცათ. მართლაც სკამები მოგვკართვეს.

წამოვიდა წვიმა კოკის პირულათ. უნდა შიგ სამიკიტნოში შევსულიყავით. სიდონიამ მოასწრო ყველაფრის დათვალიერება. მეც დავინახე, რომ სამიკიტნო გაფიცრული იყო ორათ. აქეთ, სადაც ჩვენ ვისხედით, ხალხი შედიოდ-გადიოდა. სანოვაგე გასაყიდი ბლომათ იყო, მაგრამ სასმელი? ი სჭარბობდა. ფიცრულის იქით ქეიფობდენ სმა და სიმღერა მოისმოდა. სიდონიამ ჭუჭუტანაში შეიხედა და მერე ჩურჩულით მითხრა: სპეკულიანტები გამარჯვებას დღესასწაულობენ.

— შენ ხომ არ დაცხრები, სიდონია! უთხარ მე—ახლა სპეკულიანტები მოგელანდა. მაგრამ ძალა უნებურათ მეც ამიტანა ცოდვამ და ყური დავუგდე.

— ამხანაგო ზაქრო, შენ სადღეგრძელოს ვსვამ. ღმერთმა თუ ეშმაკმა კვლავაც გაშოვნინოს ბლომათ ფული, რომ ძმა კაცები ხახა მშრალი არ დარჩენ და შენი წყალობით ნუნუა არ მოგვაკლდეთ. წამოიძახა ერთმა.

— ძმა ზაქრო, შენ ხომ დაგვპირდი, ჩემი ფულის შოვნის უნარს გიამბებთო. მოგვიყევი რაღა! უთხრა სამიკიტნოს პატრონმა.

ზაქრომ ჩაახველა, მიიხედ მოიხედა და დაბლის ხმით თქვა:—არაფერ ხიფათში არ გამაბათ. ხომ იცით რა „სტროგობაა" ახლა. კედლებსაც კი ათი ყური აბიათ. „დანოსობა" ადვილია.

სიდონია სრულებითაც არ შეკრთდა, სკამზე გასწორდა, პირი ჩემსკენ მოიბრუნა, მაგრამ ერთი კავი ყურს მოაშორა, რომ უფრო კარგათ გაეგო. მე წამოვიწიე, მინდოდა წამოდგომა, ეტყობოდა წვიმასაც გადეღო, შხაპუნი აღარ მოისმოდა, მაგრამ სიდონიამ არ გამიშვა, ხელით ისევ სკამზე დამსვა და რაც მე ვერ გავიგე იმათი ნალაპარაკი, მერე დაწვრილებით იმან გადმომცა.

ზაქრომ ხელ ახლათ ჩაახველა და თავის უზომოთ ჯამდიდრების ამბავს მოჰყვა: ხერხი და მადლობა მე დედის მუცლიდან არ გამომყოლია, ძმა ბიჭებს დავუმეგობრდი და დუშაში მოშივიდა. სომხები რომ შულავერში დაგვესიენ ჩვენ მთავრობას უნდა საკმაო ჯარი გაეგზავნა და იმათვის საჭირო იყო კაი ჭამა—სმა, და მთავრობა ფულს არა ზოგავდა, ბზესავით აბნევდა. საჭირო იყო გვარდიის გამოსაკვებათ დიდ ძალი ფქვილი, მერე სულ კაი თეთრი ფქვილი, დაიწყეს ფქვილის ძებნა. მთელ ქალაქში ჩვენ ისე მივმალეთ ფქვილი, რომ ეშმაკიც კი ვერ მიაგნებდა. ბევრი მილიციონერები შესყიდული გვყავნდა... ზაქრომ ჩაიცინა და თითებით ანიშნა რამდენს ხარჯავდა... რაც კი ფქვილი შემოდიოდა ქალაქში ჩვენ გზას ვუკრავდით, ვყიდულობდით, ზედმეტს ვაძლევდით. საქმეების გამოსაწყობათ მთავრობასთან ორი კაცი გვყავნდა მიჩენილი, იმათ მოჰქონდათ ხოლმე ამბავი, იმათგან ვტყობულობდით რომ დღეს ხვალ გვარდიისთვის აღარ ექნებათ თეთრი ფქვილი, ჯარს ხომ შიმშილით არ მოჰკლავდენ, მეტი რა გზა იქნებოდა—რასაც მოვთხოვდით მოგვცემდენ.

რომ „დოვერია" გქვონოდა ფქვილს ცოტ ცოტას ვუჩენდით მთავრობას, ისინიც ფასს ცოტცოტას გვიმატებდენ. სამინისტროებში და კოოპერატივებში საჭირო იყო აგენტები, დამხმარე პირები, რომ შეგვძლებოდა ადვილათ იქ შესვლა—გამოსვლა, ამბების შეტყობა, „სპრავკების" მიღება. იქ ხომ უფრო ყმაწვილი ქალები მუშაობენ და იმედი გვქონდა, რომ იმათ ადვილათ გადმოვიბირებდით ჩვენკენ, მაგრამ გავუხსენებდით თუ არა რომ შაქარს, კაკაოს, კონიაკს მოგართმევთქო, მაშინვე ერთანეთს თვალით ანიშნავდენ და უცბათ შე მოგვეფანტებოდენ. კაცებთან უფრო ადვილათ ვაწყობდით საქმეს. ამაზე რასაკვირველია დიდი ფული გვეხარჯებოდა... ზაქრომ ახლაც თვალები აათამაშა, თითებით რაღაც ანიშნა. როდესაც ჩვენი მიჩენილი კაცები, აგენტები, მთავრობას დააჯერებდენ, რომ ფქვილი აღარსად არის და ჯარი კი გამოსაკვები იყო, მეტი რა გზა იქნებოდა რომ ფქვილს ფასი ერთი ათათ არ მომატებოდა. ჩვენ ამავე დროს ხალხში ვავრცელებდით ხმას, რომ ჯარი დღეს-ხვალ უსაზრდოთ დარჩება და რა იმედი უნდა გქვონდეს, რომ გვარდია გაიმარჯვებს. ამ ხმების გავრცელებას გაზეთებიც გვშველოდენ, ჩვენ ნალაპარაკს სწრაფათ ბეჭდავენ. ამითი ჩვენ რასაკვირველია დიდ მოგებაში ვიყავით. ძალიან ფხიზლათ ვუცქეროდით საქმეს ანგარიშს მუდამ ვაკეთებდით და ბოლოს თითოს ჩვენგანს წმინდა შემოსავალი ასი ათასი მანეთი დაგვრჩა, დროზე შევაყენეთ ჩვენი საქმე, ახლა რომ ეძახიან სპეკულიანტობას.

გაათავა ასე თავისი ამბავი ზაქრომ და შემოსძახა.—აბა, არაყი, ძმა ბიჭებო, ვიქეიფოთ, რა ეშმაკებისთვის მინდა ეს მთელი ურემი ქაღალდის ნაგლეჯები. ჩვენ ქალებს ყველას ვუყიდე თეთრი აბრეშუმის ჩულქები და თეთრი ატლასის ბაშმაკები. ხუთას ხუთასი თუმანი დამიჯდა... ზურნა მომგვარეთ, მრავალჟამიერი დაუძახოთ, არიქა არაყი, ბიჭებო, არაყი!

მე ველარ გაუძელ მოთმინება დავკარგე, ფეხ-აკრეფით გამოვედი. სიდონიაც გამომყვა.

— ესეც ხომ შეიტყეთ, სპეკულიანტებიც ხომ ნახეს! ჩემი რომ არა გჯერათ-რა! წვიმას გადუღია, გავკაცლებთ.

**ანასტასია წერეთლისა.**

## საგულისხმო მოვლენა

„საქართველოს" 167 ნომერში წავიკითხეთ მ. გვალიას წერილი „სული ბოროტი შორს ხალხისაგან". ამ წერილში აღნიშნული იყო ორი უმსგავსი საქციელი ვიღაც სოციალისტებისა (ერთი მათგანი ვინმე გვ...სიანი), რომელთაც მდაბიო ხალხის თვალში თვალის ასამაღლებლად საჭიროდ დაუნახავთ საყდარში რევოლვრის სროლა და ხატების დაცხრილვა!...... ვის თვალში ამაღლდებიან ეს ქვეყნის ოინბაზები ამას, ჩვენ თუ არა, შემდეგ თვითონაც დაინახავენ, მაგრამ არ შეიძლება მაინც არ მივაქციო იმ უგვანოთა და მათ თანასწორთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ყველა მათსავით ურჯულო არ არის; მრავალია ჩვენ შორის ისეთები, რომლებიც ზემო აღნიშნულ ფაქტის ჩამდენს ველურობას შესწამებს. ამის დასამტკიცებლად ერთ საგულისხმო ამბავს მოვიყვან:

სოფელ ახალსოფელში (თბილისის მაზრა) მღვდლის ადგილი დაიცალა. სოფელი შეკრებილა და განა თუ იმას ამბობდა მღვდელი არ გვინდა, ან ეკლესია რა საჭიროაო?! არა, პირიქით, მას სრულის შეგნებით მოუკიდნია ამ საკითხისათვის ხელი და მათკა რწმუნებულმა—ვინმე გრ. მეზვრიშვილმა, სოფლის განაჩენთან ერთად აი რა მოხსენება მისცა მათ უწმინდესობას, კათოლიკოზ-პატრიარქს ლეონიდს. იგი სწერს:

„ჩვენ სოფლისაგან მონდობილი მაქვს სიმდაბლით მოგართვათ მღვდლის არჩევის განაჩენი და თანაც მოგახსენოთ ჩვენი გულ ნადები. მართალია, ეხლა ბევრგან ქადაგობენ სამღვდელოების და ეკლესიის საწინააღმდეგოთ, მართალია ჩვენ სოფლის შვილებსაც შეხვედრია ამისთანა შემთხვევა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგნიათ გონიერება და მამა პაპისაგან ჩახერგული ღვთისადმი და ეკლესიისადმი სიყვარული არ გაჰქრობიათ. ყველამ გადავწყვიტეთ მღვდელი მოვითხოვოთ, მოვითხოვოთ არა მარტო მღვდლობისათვის, არამედ ის უნდა იყოს ყველას ნაძღვილი მამა-მოძღვარი, გზის მაჩვენებელი, დამრიგებელი, სოფლის ლამპარი, ყოვლად სინიდისიანი ადამიანი. ამისთანა ადამიანად ჩვენ სოფელს სწამს დეკ. მამა გიორგი ინაშვილი. მართალია ეხლა ყველას თავი გასჭირვბია, მაგრამ ჩვენი სოფელი ამასაც არ შეუშინდა და გადასწყვიტა ერთდროულ დახმარებად მისცეს კომლზედ სამ-სამი ლიტრა პური, რაიც სულ შეადგენს სამასს ფუთს, აღუთქვა შეშა და აგრეთვე მიწა შვიდი დესეტინა, რომლის შემუშავებაზედაც სოფელი დაეხმარება. ერთი სიტყვით არაფერს დაზოგავს სოფელი, ოღონდ ღირსეული მღვდელი მიეცეს. ამას ყველაფერს მოგახსენებთ სოფლის სახელით და მდაბლათ გთხოვთ დაგვითმოთ დეკანოზი გიორგი ინაშვილი ჩვენ მოძღვრად და პატრონად".

8-6 გვერდისიანს ალბათ თვლა ეცოდინება. აბა გამოიანგარიშოს რა წვლილი გაუღია ახალსოფელს მღვდლისათვის და ისიც დადებულ სასყიდლის გარეშე: სულ უკანასკნელი 70-100 ათასი მანეთის ღირებულებისა და ამის შემდეგ ამიხსნას ამ სოციალისტმა: ურწმუნოებით მოსვლია ხალხს ეს ამბავი, თუ?....

სირცხვილი ამ ვაჟბატონებს, რომ ხალხს რყვნიან, ართმევენ სარწმუნოებას და სამაგიეროს კი ვერაფერს აძლევენ ხალხი კი მაინც თავისას გაიტანს.

**დ. ბრეთელი.**

## კორესპონდენცია

### თიანეთიდან.

ყოვლად შეუძლებელია საქართველოს კუთხეებში მოიძებნებოდეს იმისთანა მივიწყებული კუთხე, როგორიცაა თიანეთი თავისი მაზრით. ამ მაზრას ჯერ ნამდვილი პატრონი არა ჰყავს და რომ წესიერი ხალხი ედგეს თავში არ მოხდებოდა ის, რაც დღესა ხდება. შემთხვევით მომიხდა თიანეთში გავლა ჩემს ამხანაგებით ქისტებით, რომელთაც საქონელი მიგვყავდა თბილისში კავკავის მხრიდგან. ანანურიდგან გავემგზავრენით თიანეთისკენ. მივედით თიანეთში. შესვლისთანავე მოგვვარდა კომისარი მილიციონერებით და ხმის ამოუღებლივ იარაღი მოგვტაცეს (რომელიც ურემში გვეწყო დასვენების დროს) შემაბრუნეს ურემი კომისრის ეზოში და აგრეთვე რაც საქონელი მოგვყავდა. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი დაგვიბარა და დაგვდო „საშინელი განსჯა". შემოვიდა ვინმე პორთველით ხელში, რომელიც გამომძიებელი გვეგონა. მაგრამ აღმოჩნდა თიანეთის ერობის თავმჯდომარე ვლად. პაპავა და დაიწყეს დაკითხვა. ჩამოგვართვეს ჩვენება საიდგან მოვდივართ, საქონლის გამოტარების ნება გვაქვს თუ არა და აგრეთვე იარაღის. იარაღის მოწმებები რაც გვქონდა და აგრეთვე პირადი გადავეცით. საქონლის შესახებ თორმეტი სულის ნებართვა ყაზბეგის საბაჟოდგან მოცემული წარუდგინეთ და დანარჩენის საქონლის მოწმობის შესახებ (რომელიც თბილისში ჩვენ ამხანაგს გაჰყვა) ნამდვილი ჩვენება მივეცით და თუ მაინც ეს სიმართლე არ დააკმაყოფილებდათ, ვთხოვეთ რომ, ყაზბეგის საბაჟოს უფროს შეჰკითხებოდნენ მართლა ჩვენმა საქონელმა საბაჟოში გამოიარა თუ არა? და გადასახადი საბაჟოს წესისამებრ გადიხადა თუ არა? ბოგდანოვმა ჩვენს ჩვენებას ყურა ღება არ მიაქცია, არც კი მოუსმენია წესიერათ რას ველაპარაკებოდით და გასცა შემდეგი ბრძანება: „საქონელი დატუსაღებულია, იარაღი ჩამორთმეული, ხალხი მილიციის რეზერვში იქნებიან და თვალი გეჭიროთ არსად გაიქცნენო". საქონელი მიაბრუნეს გადამწვარ მინდორზე და ჩვენ მილიციონერების დარბაზში ერობის თავმჯ. ომარის პაპავას შევეკითხეთ: „ყაზბეგის საბაჟოდგან რომ მივიღოთ დეპეშა საქონლის საბაჟოში გატარების შესახებ, ხომ მართლები ვიქნებით და გაგვიშვებთ და ამ შეწუხებულ ხალხს აღარ შეგვაწუხებთ? მან მოგვცა ნამდვილი სიტყვა. თუ კი ამ შინაარსის დეპეშას მივიღებდით საწინააღმდეგო არაფერი გვექნებაო. მივიღეთ ყაზბეგის საბაჟოდგან დეპეშა მაგრამ ველარ იმოქმედა ბ. ბოგდანოვზე და პაპავაზე (როგორც ეტყობათ ორივეს კარგათ ესმით საბაჟოს დანიშნულება) და გამოგვიცხადეს, ახლა სამინისტროდგან უნდა გავიგოთ, გაქვთ თუ არა უფლება საქონლის გამოტარებისა და მაშინ გაგიშვებთო. ხალხი ძალიან გააკვირვა ამათმა საქციელმა და ეუბნებოდენ ერომანეთს მადლობის მაგიერია რომ საქონელი მოგვირეკეს და ეგენი ასე სტანჯავენო. არ ვიცი რა უნდათ ჩვენგან..

დაგვრჩა ერთი გზა, მივმართეთ ეხლა სამინისტროს, რომელმაც დაგვიდასტურა საბაჟოს დეპეშა და სწერდენ ყველაფერი რაც კი ჩამოგვართვეს დაებრუნებინათ. დაბრუნებით დაგვიბრუნეს ყველაფერი, მაგრამ ერთი ცხენი აღარ აღმოჩნდა. როდესაც ჩვენ დაგვატყვევა ბოგდანოვმა, მეორე დღეს პანკისელი ქისტები (რომელნიც მილიციაში მსახურებდენ) სახლში წავიდენ და ჩვენი ცხენიც სწორედ მაშინ დაიკარგა. ამბობდენ, თვითონ კომისარმა ბოგდანოვმა მოაპარინაო, მაგრამ, აბა ამას კი რას იკადრებდა, მხოლოდ ის კი იკადრა, რომ საქონელი როცა დაგვიტკვეთ, მე ცხენები არ ჩამიბარებიაო, ცხენები თქვენ გებარათო (ჩვენ კი მილიციის რეზერვში ვისხედით).

ცხენის შესახებ მივმართეთ ერობას და ჯერ ველით რა პასუხი იქნება. ბ. ბოგდანოვზე ბევრი საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა ხალხმა მაგრამ, ეს ცნობები თვითონვე ხალხმა უნდა მიაწოდოს სადაც ჯერ არს, რათა დროზედვე აღკვეთონ ამისთანა თავხედი ადმინი, რომელიც ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას უწესობის მეტი, არაფერი კეთილი არ შეუძლიან მოუტანოს.

ბევრი ნაკლი არის კიდევ აღსანიშნავი თვითონ ერობისა, მაგრამ დაე თვითონ თიანელებმა აღნიშნავენ გაზეთის ფურცლებზე, რათა ნათლია—ნათლიმამობას ადგილი არა ჰქონდეს სამსახურში მიღების დროს.

**მგზავრი.**

## მიწის გარშემო

გაგრძელება*)

**5. რუსების გადასახლება.**

1917 წლის რევოლიუცია არის და ჩაგრულ ერების განთავისუფლება იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან და მისგან ინგრევა რუსეთის მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკაც, მასთანვე სრულიად ისპობა (Переселенческое Управленіе) გადმომსახლებელი სამართველო და მისი გეგმებიც.

რაკი გადმოსახლებულ ხახოლებს მზრუნველი ხელი მოესპოთ, ამასთანავე დარწმუნდნენ, რომ კავკასიას ისმალები დაეპატრონებოდნენ, რუსეთისკენ ჰქნეს პირი. საიდანაც მოვიდნენ, იქითკენ გაემგზავრნენ ფურგუნებით სავსე ხაბა-ხუბით. ნათქვამია წყალი ნაწყალევს არ დააგდებსო და ესენიც ისევ ძველ კვალს გაჰყვნენ იმ იმედით, რომ იქ უფრო უკეთესს მიწას მიიღებენ და „много земли дадутъ намъ большевики!" გაიძახოდნენ ხახოლები. ჩვენებიც ლოცავდნენ: „გზა მშვიდობისა მოგცეს ღმერთმაო".

ამ რიგად გადასახლდნენ ხახოლები ელისავეტოვკისა, რომანოვკის, ალექსეევკის, ილარიონოვკის, ვარანცოვკის და ივანოვკისა, დარჩნენ მხოლოდ სლაბოდკის, მიხაილოვკის და გრაფოვკის მცხოვრებლები.

წასვლისას გამოიღეს თავიანთ შენობების კარ-ფანჯრები, ჩარჩოები, ფიცრები და გაჰყიდეს. მხოლოდ ნახევრად მინგრეული წნულის ტალახით შელესილი კედლები ისლით დახურული დასტოვეს.

ბევრი ისევ უკან დაბრუნდა.

უკან დაბრუნებულმა ხახოლებმა სთხოვეს დახმარება რუსის ეროვნულ საბჭოს თბილისში.

რუსის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან სამინისტროს მოსთხოვა აენაზღაურებინა მათთვის, ის ზარალი, რომელიც მიაყენეს ვითომ ქართველებმა 120,000 მ.

აი ეს ქაღალდიც: „Кавказскій русскій національн совѣтъ отдѣлъ юридическій № 4502. 3 іюля 1918 г. Министру внутреннихъ дѣлъ Грузинской республики на 120,000 р. для удвлетворенія 48 дымовъ".

ამ 48 კომლმა მიჰყიდეს ქართველებს ზოგი კიდევ ლეკებს ნათესი, კარ ფანჯრები, დარაბები, ფიცრები და სხვ. აიღეს ფული, როგორც შეჯერდნენ. ამის შემდეგ კიდევ ამ სახივრით უნდათ გადაახდევინონ 120,000 მანეთი!

**ცხრილი სოფლების შესახებ.**

| | კომლი | რაოდ. მცხოვრ. სულ. | საკარმ. მიწა დღ. | სახნავი დღ. | ტყე დღ. | საძოვარი დღ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელისავეტ. | 42 | 524 | — | — | — | — | ) გადასახლდნენ, დას. |
| რომანოვკა | 23 | 419 | 19,25 | 125,75 | 130,25 | 44,25 | ) ქარ. და ელის. უწ. „მაწიმი". |
| სლაბოდკა | 85 | 1610 | 52 | 495 | 680 | 383 | ესენი დარჩნენ. |
| ლაგოდეხი | 212 | — | | 497 | — | — | |
| შრომა | 212 | 1168 | 68 | 360 | 676 | 64 | |
| კავშირი | 60 | 505 | 40 | 98 | 360 | 7 | |
| ალექსეევკა | 72 | 768 | 72,75 | 350,25 | 273,50 | 61,50 | გადასახ., ჩამოსახ. ქართველები. |
| ხიზაბავრა | 27 | — | — | — | 140 | — | ) ახლად ესახლებიან |
| გურგენიანი | 77 | — | — | — | 254 | — | ) ახალციხის მაზრიდ. და იმერეთიდან. |
| მიხაილოვკა | 75 | 832 | 80 | 355 | 390 | 108 | ისევ დარჩნენ. |
| ილარიონ. | 63 | 754 | 92,40 | 311 | 271,50 | 79,60 | გადმოს. ხლ. და მის მაგიერ ჩას. ქარ. უწ. „ცოდნის კარი". |
| გრაფოვკა | 63 | 717 | 88 | 270,25 | 305,75 | 53 | ესენი დარჩნენ. |
| ვარანცოვკა | 107 | 1120 | 118 | 524,50 | 374,50 | 98,50 | გადას. მის მაგიერ ჩამოს. ქართ გ. უწ. „ვარდის უბანი". |
| დაშკოვკა | 125 | 901 | 71,25 | 478,25 | 224,50 | 127,50 | გადას., ჩამოს. ქარ. და უწოდეს „თამარიანი". |
| მშვიდობა | 100 | 280 | 50 | 230 | — | — | ქიზიყიდან გამოვ. |
| ივანოვკა | 82 | 806 | 62 | 182 | 513 | 41 | დასახლ. ქიზიყიდან, უწოდეს „ჭიაური". |
| ბოდბელები | 50 | ჯერ ცნობები არ არის | | | | | ეხლა ესახლებიან. |

აი ცხრილი, საიდანაც დავინახავთ რამდენი გადასახლდნენ რუსები და რამდენი ჩამოსახლდნენ, ან რამდენი გაკეთდა ახალი სოფილი.

**6. დასახლება.**

მაშასადამე ამ ცხრილიდან ვიგებთ, რომ რუსები გადასახლდნენ 516 კომლი, მათ ადგილს ისევ ამდენივე ჩასახლდნენ, მხოლოდ თანდათან ემატებიან და რიცხვი დასახლებისა ჯერ გამორკვეული არ არის.

მეტი წილი იმერეთიდან ზოგი ქართლიდან და ზოგიც ქიზიყიდან არიან, აგრეთვე ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდანაც ხიზაბავრელები და ჩუხჩელები გადმოსახლდნენ.

დასახლება სწრაფად ხდება და, რასაკვირველია, პირველ ხანებში წესიერად არ მიდიოდა, ვინ ვის სტაცებდა მიწას ვინ ძალმომრეობით ხნავდა. ამიტომ საჭირო იყო ხელმძღვანელი, რომ მოეწესრიგებინა მათი დასახლება.

ლაგოდ ხის მაზ. მიწ. კომისიამ შეატყობინა საგუბერნიო სამმართველოს საქმის ვითარება, რაზედაც საჭიროდ შეიქმნა მიწების დამსახლებელი კომისია ორი მიწის-მზომელი, შეიმუშავა გეგმა მოქმედებისა და დღეს მათ შორის უნაწილებს მიწებს.

ეს ძალები ამოდენა მამულისთვის არ კმარა და ვერც ასწრებენ გადმოსახლებულების დაკმაყოფილებას.

დამსახლებელ კომისიის გამგედ დანიშნულია ი. მარუაშვილი, რომელიც მუყაითად და ენერგიულად ეკიდება ამ დიდებულ საქმეს, იგი ბევრს უყურის საქართველოს განაპირა ადგილებს.

800 კომლი უკვე გადმოსახლდა, მაგრამ მათ მოწესრიგებას ჯერ კიდევ ბევრი დრო უნდა, რათა მათ შორის არ მოხდეს უთანხმოება.

არის უთანხმოება მრომა კავშირსა და ალექსეევკელებს შორის, ვორონცოვკასა და მაშნაარლებს შორის (ქიზიყელები).

— იმერლები მოვიდნენ, მიწები დაიტაცეს, გაიძახ ან მაშნაარლები, —რომელიც ჩვენი მამა-პაპიდან ჩვენი უპრიანია; ეხლა ჩვენ უმამულოდ ვრჩებით, ამათ კი რამდენიმე ადგილას მიწები უჭირავთ.

— რატომ თქვენც არ დაიჭირეთ, ვილას უკდით? ვკითხები მათ.

— ჩვენ გიცდით თქვენ, მთავრობის განკარგულებას ველით. რამდენჯერმე მივმართე და გვეუბნებიან, დაიცადეთო, აგერ გიცდით, თუ არაფერი განკარგულება იქნება, მაშინ ჩვენ ვიცით, მთელი ქიზიყი გამოვა და ძალით დაიჭერს.

— ამათ უფრო უპირატესობა აქვთ, რადგან მათ შეისყიდეს მათი სახლკარმიდამო და ხელი შეუწყეს რუსების აქედან აყრას. ამათ რომ მაგათი ნაშრომი არ ეყიდნათ, დღესაც რუსები აქ იქნებოდნენ და ვერც მიიღებდით ამ მამულსა.

— მაგათ შეძლება ჰქონდათ და დაისაკუთრეს.

იყო აგრეთვე გურგენიანელებისა და ხიზაბავრელების შორის უთანხმოება, მათ უკვე გაუნაწილეთ და დღეს ესენი მეზობლურად ცხოვრობენ.

ახალ სოფლების დასახლების გეგმები ასეთია:

უმთავრესი ქუჩის სიგანეა 10 საჟ., რომელიც ორივე მხარეს მოსახლეები ჩამწკრივებულია. ქუჩის შესახვევის სიგანეა 6 საჟ., მინდვრის გზა კი—3 საჟენი. სკოლისთვის გადადებულია 10-30 დეს. მიწა, კოოპერატივისათვის და კანცელარიისათვის—1 დეს. და სასოფლო ბაღიც 1 დეს.

მათი დასახლება მჭიდროდ ხდება. მათი მეურნეობა უმაღლესი კულტურის უნდა იყოს, აქ ეხლა მესაქონლეობა აღარ გამოდგება, ვინაიდან საძოვრები აღარ რჩება.

რუსის სოფლებს შეუცვალეს სახელები და უწოდეს ივანოვკას—„ჭიაური", დაშკოვკას „თამარიანი", ვორონცოვკას—„ვარდის უბანი", ილარიონოვკას „ცოდნის კარი" და ელისავეტოვკას ისევ ძველი ისტორიული სახელი მისცეს „მაწიმი".

*) იხ. „საქართველო" № 214.

## მიმოსვლა

**სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.**

**გადის თბილისიდან.**

ფოთში № 21 ღამ. 12 ს. 5 წ.
ქუთაისში № 10 9 სად. 8 ს. 7 წ.
ბათომში № 5 საღ. 5 ს. 4 წ.
ფოთში № 3 დილ. 9 ს. 56 წ.
ბათომში № 1 ღამ. 11 ს. 30 წ.

**მოდის თბილისში**

ბათომიდან № 2 დილ. 7 ს. — 
ფოთიდან № 4 საღ. 8 ს. 45 წ.
ბათუმიდან № 6 შუად. 12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან № 11,12 დღ. 9 ს. 30 წ.
ფოთიდან № 22 დღ. 6 ს. 06 წ.

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

**მოდის სალოღლიდან.**

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19.20 შუად. 3 ს. 26 წ.

**მოდის:**

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

**თბილისი-ხანინი.**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად. 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამხედრო სისწრაფეს გადასაზიდად და მალე წასასვლელი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა [illegible] და გორის შუა: 1 წყვილი ივლის [illegible] და კვირა დღეებში, 2 წყვილი [illegible] მე და უქმის დღეებში.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდიანი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალურ ვენერიულ, კანის და საშვილოსნო ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. ქ. ხუციშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელიაის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] გულისა. იღებს ახალ რენტგენის [illegible] ელექტრო-წამლობის კაბინეტში, [illegible] სისხლი და წამლობა X სხ[illegible] დიდი [illegible] ნაწლავების ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7 92.

[illegible]
მკურნალი
იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914 და 606 შეშხაპუნ.). ავადმყოფები მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „[illegible]", ტელეფონი 14-28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, [illegible] ქუჩა № 3.